წელიწადი პირველი
ფასი 5 კაპ.
პარასკევი, 30 ოქტომბერი 1915 წ.
№ 130

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის **ამერიკული ვაზის** რქა და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის **ფესვიანი ძირები**; აქვე იყიდება **გარეული კომშის ნერგი სამყნობად.**

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифжисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Таз'еву

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: **ხვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო** ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. **მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი** მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, **მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი,** გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ **მანქანაზე** მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს **სადოქტარო** ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

სოფლის მასწავლებლის ტიპის შემუშავება

II

საღი მამულიშვილი თაობის აღზრდა; სამშობლოსა და ეროვნულ კულტურისადმი უზადო და უმანკო სიყვარულის ჩანერგვა ნორჩ ქართველის ბუნებაში; მომავლის იმედის გრძნობის გაღვივება, და თავდაცვა-თვითარსებობისათვის სათანადო იარაღით აღჭურვა—აი ის უუკეთილშობილესი საგანი, რასაც უნდა მსახურებდეს ქართველი სოფლის მასწავლებელი იმ წმიდა სალოცავში, სადაც დაიწყება მთელი ერის მომავლის გონებისა და ზნეობა-მოქალაქეობის პირველი აკვანი!

სოფლის მასწავლებელს უნდა სრულის სისავსით ჰქონდეს შეგნებული მისი დანიშნულების ყოვლად მაღალი მნიშვნელობა, უნდა ესმოდეს ადამიანის სრული სმენით ტვირთის სიმძიმე, და პასუხის მგებლობა ქვეყნის აწმყოსა და მის მომავლის წინაშე! თვით მასწავლებელი უნდა იყოს უაღრესად მამულიშვილი, მოტრფიალე თავის ერისა და ქვეყნის ბედნიერება-კეთილდღეობისა, უანგარო და თავდადებული მოღვაწე, მუდმივი, გაუნელებელი მოჭირ-ვარამე, სოფლის ხალხისა. ყველა ეს მაღალი თვისება, როგორიცაა მამულისადმი მოქალაქეობრივი კამკამა სიყვარული, უანგარო, ულევი გრძნობა სამშობლოს საუკეთესო მერმისის მოსაპოებლად და რომლის პირველი თესლი მოზარდის ბუნებაში მასწავლებელმა მოკრძალებით უნდა ჩასდოს, უპირველეს და უმტკიცეს განსახიერებას ჯერ თვით მასწავლებელში უნდა პოულობდეს. ამ ჩვენს დროში, ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველივე ეროვნული გაპარტახებულია, სადაც მომავალი თაობა გარემო წრიდან ჰკრეფს მხოლოდ გადაგვარებისა და ჩვენი ეროვნული ვინაობისა და რაობის დაწუნების მაგალითს, სადაც ჯერ კიდევ გაღმერთება და ლტოლვაა სხვისისაკენ, ასეთ ატმოსფერაში თავის თავად და ბუნებრივის გადამდებლობით შეუძლებელი ხდება მამულიშვილობის მაღალი მოტივების შეთვისება, შემონივთება და შესისხლხორცება. საჭიროა შერჩევით და განფიქრებით შექმნა სათანადო აღზრდის პირობებისა, საჭიროა მომავალი სოფლის მასწავლებელი მოწიწებით შევიყვანოთ ჩვენი ეროვნული ცხოვრების წარსულისა და აწმყოს საგანძურში.

წარსულის ყოველი ნაშთი, უბრალო ნატეხი ჩვენი წინაპრების სულის შესალოცი ტაძრისა, რომელიც, მაღალ დანიშნულების შესაფერისად, ძველი ქართველის შემოქმედებას ხუროთმოძღვრების საიშვიათო ნიმუშებით შეუმკია, და ჰაეროვანი, სულის ამტაცი ჩუქურთმებით შეუძერწნია, უბრალო და ყოველი ერთი ნაფლეთი ძველი ნახატი სურათისა, ყოველი ერთი ნაკვალევი სანახევროდ ჩამორეცხილ ფრესკისა, ყოველი ნაგლეჯი ძველი სიგელისა, ძველი ტყავისა თუ ბეჭის ძვლისა, სადაც წინაპარს თვისი შემოქმედება და სულის მოძრაობა რანაირომე ხაზებით აღუნიშნავს, უბრალო წკირა თუ ცხენის ძუა ჩვენი ძველების დასაკრავი ინსტრუმენტისა, ყოველი ნაკუწი დაცხრილული და დაფლეთილი ეროვნული დროშისა და სხვა და სხვა,—ყოველივე ეს ხანგრძლივი განფიქრების საგანი უნდა იყოს სოფლის მასწავლებლისათვის; მომავალი მასწავლებლის ხუთი გრძნობა უშუალოდ უნდა ჰკრეფდეს შთაბეჭდილებას თითეული ამგვარი ნაშთისაგან. იგი უნდა შესცურდეს არა მარტო ფსიხოლოგიურად არამედ მთელის სხეულით ჩვენი ქვეყნის სულიერ და ნივთიერ მუზეუმში. სულით სულს ეზიაროს წარსულისას, ხორც-სისხლით, როგორც ნივთი, წარსულის ნივთთ შეეხოს ორგანიულად და მათ შეეზარდოს! ამ მუზეუმში უნდა მოხდეს სულიერი გარდაქმნა და შობა ქართველი მასწავლებლისა, აქ უნდა მოხდეს უდიდესი საიდუმლო წმინდა სიყვარულისა ერის შემოქმედებისა, და მის სულისადმი. აქ უნდა გაისკვნას ურყევი სიყვარული სამშობლოსადმი!

და შემდეგ ამ მკვიდრ ნიადაგზე აღგოს ყოველი მეცნიერება, წმინდა და გამოყენებითი! ასეთ მასწავლებელს თამამად მიანდობ ერის ბედს, ერის მომავალს!

სოფლის მასწავლებელს, განსაზღვრის ძალით, სოფელში მოუხდება მუშაობა. მაშასადამე, საქმე ექნება სოფლის ნაირ-ნაირ და რთულ საჭიროებასთან. სოფელში იგი პირველი კაცია და ყველა მას მიაშურებს რჩევისთვის.

მაღალი მამულიშვილური გრძნობის ჩათესვა, ეს წმიდა სულიერი მხარე მასწავლებლის მოღვაწეობისა, საკმარისი არ არის. არსობის პური, ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნება, და ნივთიერი დოვლათის დაგროვება—პირველი რიგის საზრუნავი საგანია ხალხის ცხოვრებაში და ამიტომაც სოფლის მასწავლებელმა თავის ზრუნვისა და სიყვარულის მეორე საგნად **სოფლის მეურნეობა** უნდა გაიხადოს.

ჩვენი გადოვლათება და ეკონომიური გაღონიერება სოფლის მეურნეობის მოწყობაშია, და მის მოგვარებაში თანახმად თანამედროვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და ტეხნიკისა. ამ დარგში თავის ცოდნისა და ენერგიის ჩაყრა—მეორე უდიდესი ღვაწლი და მამულიშვილობა იქნება ქვეყნის წინაშე. სასოფლო მეურნეობაში მასწავლებელი უთუოდ უნდა გაგებული იყოს რამოდენიმეთ მაინც, კომპენტენტური, უთუოდ რამე უნდა ეკითხებოდეს. გარდა დაუფასებელი ნივთიერი სარგებლობისა, რასაც ამ მხრივ მასწავლებელი მოუტანს სოფლის ხალხს, ერთი ორად გაიზრდება სოფლის თვალში მისი გავლენა ჲ პრესტიჟი. ეს უკანასკნელი გარემოება კი მას გაუადვილებს ყოველი ისეთი დაწყებულებისა და საქმის გატარება-გაკეთებას სოფელში, რომლის სარგებლობა ეგრე რიგად მატერიული და თვალსაჩინო არ იქნება სოფლელის ფსიხიკისთვის. მოკლედ რომ მოვჭრათ, სოფლის მასწავლებელთ სოფლის ხალხში, მაშასადამე მთელს ქართველ ერში უნდა განამტკიცებდეს ორ რასმე: **საღ ეროვნულ გრძნობას** და სათანადო სამეურნეო ცოდნას.

ეროვნული თავდაცვა თვით-განმტკიცება და სოფლის მეურნეობა—ეს უნდა იყოს სოფლის მასწავლებლის დანიშნულების ანი ჲ ფიტა. ამ ორისთვის უნდა იწვოდეს მისი ძალა და ენერგია სამშობლოს მტკიცე მომავლის გამოსაჭედად.

პროგრამა თუ საქმიანობა

ჩვენში ბევრს გულუბრყვილოთ სწამს, რომ საკმაო „რაღაც“ ჩავიდინოთ და საქართველოს საკითხი, მორიგ, პოლიტიკურ საკითხად გადიქცევა, ჩვენზე ალაპარაკდებიან, ანგარიშს გაგვიწევენ და დაგვაკმაყოფილებენ კიდეც. მაგრამ რა არის ეს „რაღაც“, რომელიც უნდა ჩავიდინოთ, არავინ არ გვიხსნის. თუ ჩაუკვირდებით იმას, რაც აქამდის გაკეთებულა, რომ ქართულმა პოლიტიკურმა საკითხმა ყურადღება მიიპყროს, შეიძლება ბუნდოვანად მივხვდეთ, რა არის ეს „რაღაც“. ასე, მაგალითად, დეპუტატმა გელოვანმა მთელი დეკლარაცია წაიკითხა სათათბიროში საქართველოს ავტონომიაზე. შემდეგ, რუსეთის საზოგადოებრივ აზრის საყურადღებოდ, ზოგიერთმა ქართველმა პუბლიცისტმა რუსულის პრესის საშუალებით ახსნა დედა-აზრი და მიზნები ქართულის პოლიტიკისა. მაგრამ საქართველოს საკითხი ვერ იქნა და ვერ ეღირსა „საკითხად“ ქცევას. მეტიც უნდა ვსთქვათ. ჩვენი პოლიტიკურის თავმოყვარეობისათვის საწყენიც კი იყო, რომ დეპუტატ გელოვანის სერიოზულ განცხადებას არც რუსეთის პარლამენტმა, არც რუსულმა პრესამ ყურადღება არ მიაქცია. ჩვენი პუბლიცისტების გამოსვლა რუსულ პრესაში, ხომ პირდაპირ სასაცილოდ დამთავრდა. რუსულ ჟურნალის „ნაციონალ პრობლემების“ რედაქციამ უცნაური პოლიტიკური მენუეტი მოაწყო ქართველ და სომეხ მოღვაწეებისაგან. ამ ჟურნალში ქართველი და სომეხი პუბლიცისტები წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ და იმ დროს როცა ქართველი პუბლიცისტი სომხებს შოლტავდა, სომეხი ქართველებს უტყლაშუნებდა. ბოლოს საქმე იმით დამთავრდა რომ ქართველმა თავისავე თავს დაუწყო შოლტვა. ამის მსგავს მაგალითს წარმოადგენს უკანასკნელი გამოსვლა „ნაციონალ პრობლემებში“ ვიღაც ვითომდა ქართველ გორინისა, რომლის წერილი ქართველების წინააღმდეგ უფრო არის მიმართული, ვიდრე მათ ინტერესების დასაცავად. რა შთაბეჭდილება მოვახდინეთ ჩვენ ამ გამოსვლით და კითხულობს ვინმე რუსეთში საზოგადოთ ამ ჟურნალს, მე არ ვიცი, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ვერც ამ გამოსვლით შევქმენით „საქართველოს საკითხი“.

რაშია საქმე? რატომ არ გვაქცევენ, მართლაც, ყურადღებას, ან საქართველოს საკითხი, პოლიტიკური საკითხი არ არის, თუ რა მიზეზია, რომ იგი საერთაშორისო საკითხად ვერ იქცა და ისევ შინაურობაში რჩება? ჩვენ რომ მარტო ერთმანეთის დავიდარაბაში არ ვიყოთ გაბმული და დაკვირვების შნო და უნარი გვქონდეს, ჭეშმარიტ დიაგნოზის დასმას ადვილად მოვახერხებდით. და მაშინ მივხვდებოდით, რა პირობებში შეიძლება საქართველოს საკითხი პოლიტიკურ საკითხად იქცეს და რა პირობებში არა.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იმ პირობებში, რა პირობებშიაც დღეს საქართველო სცხოვრობს, იგი უბრალო გუბერნიის ცნებიდან ვერ გამოვა. ყველა ამბებს, რომელიც ჩვენში ხდება, რაც უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეთ მუდამ პროვინციალურ ქრონიკის ბეჭედი აზის ჲ არა ერის კულტურულ ნაციონალურ ცხოვრებისა, დამოუკიდებელ ერის პრეტენზია მხოლოდ იმ ერს შეუძლიან ჰქონდეს და მხოლოდ ის მიიპყრობს ყურადღებას, მხოლოდ იმ ერის არსებობის საკითხი იქცევა პოლიტიკურ საკითხად, რომელ ერსაც სახლში, აზრის ერთობა აქვს შექმნილი ცხოვრების ყველა დარგში. მარტო „ეროვნულ მუშების“ დარაზმვა კი არ არის საჭირო, ან „ეროვნულ გლეხისა“, ეროვნულ ძალას უნდა წარმოადგენდეს მთელი პროლეტარიატი, მთელი გლეხობა, მთელი ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, პრესა, თეატრი, ლიტერატურა და ერთის სიტყვით მთელი სულიერი და უსულო ანტურაჟი იმ ცნებისა, რომელსაც ერი ჰქვიან. და ჩვენში განა ეს ასე არის? ჩვენში რომ სოციალდემოკრატიულ პარტიას მუშა გამოექცევა და ნაციონალისტებში ჩაეწერება, ეროვნულ იდეალის ბრწყინვალე გამარჯვებაზედ ვყვირით და ამ მუშას მერე „ყარამანიანს“ ვაკითხებთ, ვეუბნებით, რომ „ვისრამიანის“ ენა საუკეთესოა სტილის მხრივ და იმ ტიკინად ვხდით, რომელიც არარავითარ იდეალისთვის არ არის შემდეგში გამოსადეგი. ამ დროს კი ხალხს სკოლები არა აქვს, ხალხს სავაჭრო დაწესებულებები არა აქვს და უცხო ტომის ჩარჩებს ვაყვლეფინებთ. მერე ვის შეეძლო ამის მოწყობა? ჩვენ, ნაციონალისტებს, რადგანაც ჩვენს ხელშია საქართველოს სიმდიდრე, მისი მიწა, მისი ბანკები, მთელი მისი ნივთიერი ავტორიტეტი. რიგიანი დუქანი ვერ მოგვიწყვია, სადაც სასწორი სწორედ სწონავდეს პურსა და ხახვსა და იმისთანა უმსგავსო გაზეთი, როგორც „ზვირთია“ ყოველდღე იზრდება და ხალხს ტრაბახობას აჩვევს, დამაცადეთ ზღვა უნდა დავწვაო! აი, დასაწყისი იმ სამწუხარო შედეგისა, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვსცურაობთ და რომლის გამო ჩვენში პოლიტიკა ვერ იქმნება.

როდესაც ჟურნალი „კლდე“ პირველად გამოვიდა და მორცხვად განაცხადა პროგრამას მოქმედება გვირჩევნიაო, პირველი ფედერალისტები იყვნენ რომ სიცილი მოგვაყარეს და ჩვენი მოქმედება „წვრილმანების პოლიტიკათ“ მონათლეს. მაგრამ მადლობა ღმერთს, საქართველოში კვლავ ყოფილა სამართლიანობა, რომელმაც აოქმევინა ბატონ ანს: ამ საერთო ატმოსფერაში მხოლოდ „კლდემ“ შეიტანა სხვა ჰანგი, წამოაყენა პატარ-პატარა პრაქტიკული კითხვები, შეეცადა პრაქტიკულ პოლიტიკის შემუშავებასო“. ჩვენ სიამოვნებით ვიღებთ ამ მართალ სიტყვას, და არა მარტო ამას, იმ ნაკლსაც, რომელზედაც გვითითებს ქართველ მშრომელი ხალხის ბელადი, მაგრამ ვიღებთ არა „ნათესავებისგან“, რომელსაც ზედ წაეგლისა „ზვირთი“, არამედ მოწინააღმდეგეებისგან, ჩვენ საკუთარ და ჭეშმარიტ მოწინააღმდეგებისაგან.

ჩვენში სიცრუეს ბევრს ლაპარაკობენ და სიმართლის გაგონება კი არავის არ უყვარს. ნამდვილად კი, რამდენ კარგ გაკვეთილს აძლევს იგივე ბ. ანი მათ, ვინც წარა-მარა საქართველოს პოლიტიკურ საკითხზე წუწუნებს და კი არას აკეთებს. ბ-ონ ანის წერილი „ფედერალისტების ბანაკში“ პირდაპირი პასუხია, თუ რატომ არ გახდა ქართული საკითხი პოლიტიკურ საკითხად. იმიტომ, რომ ისინი ვინც დაინტერესებული არიან ავტონომიით, არაფერს არ აკეთებენ იმის გარდა, რომ ერთსა და იმავე მასალას ხან ვრცლად ბეჭდავენ „სახალხო ფურცელში“, ხან შემოკლებით „ზვირთში“. პოლიტიკა კი ამით არსად არ შექმნილა.

შ. ამირეჯიბი.

ომის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთში

ბულგარებმა აიღეს ნიში. ამავე დროს იუწყებიან, რომ სტრუმიცესთან ფრანგებსა და ინგლისელებს ძლიერი ჯარებით იერიშები მოჰქონებიათ, მაგრამ ბულგარებს ხიშტით კონტრ-იერიშით შეუტევიათ და მათი ჯარები ძველს პოზიციებზე გადაურეკიათ.

სამი სოფელი.

პარიზიდან ცნობაა მოსული, ვითომც ფრანგებსა და ინგლისელებს სტრემიცის რაიონში სამი სოფელი აეღოთ.

ბულგართა ცნობა.

ბულგართა ცნობით სტრუმიცესთან უკანასკნელ ბრძოლის დროს ფრანგებსა და ინგლისელებს დიდი ზარალი მოსვლიათ. დაჭრილ-დახოცილთა და ტყვეთა რიცხვი ასიათასს უდრისო. მაგრამ ამასთანავე კოპენჰაგენიდან მოსული კერძო ცნობებით ბულგარეთის განცხადება მხოლოდ ტრაბახობაა და გამარჯვება ფრიად გაზვიადებულიაო.

„ბელგრადის“ ბედი.

ბულგარებმა შავ ზღვაში შეიპყრეს რუსის გემი „ბელგრადი“ და „ვარნა“ დაარქვეს.

ლორდ კიტჩენერის გადაყენება.

კიტჩენერი გადადგა მთავარსარდლობიდან. ამ ამბავმა ფრიად ააღელვა ინგლისელები. ლონდონში ათასი ხმა დადის. ამ ამბავით გამოწვეული მღელვარება და გაოცება გაცილებით აღემატება ლონდონის თავზე ცეპელინთა უკანასკნელი თარეში. ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა ჰფიქრობს, რომ კიტჩენერი დაინიშნება გენერალურ შტაბის უფროსად ან პარიზში მყოფ მოკავშირეთა შტაბის ინგლისელთა სექციის უფროსად, შესაძლებელია გალიპოლში გაიგზავნოს და დაინიშნოს მაკედონიისა, მესოპოტამიისა და ეგვიპტის ჯარების უფროსად, ან და ისიც მოსალოდნელია, რომ ინდოეთის უფროსად დანიშნავენო. უფრო მოსალოდნელია, რომ აღმოსავლეთის ლაშქართა ხელმძღვანელად დანიშნავენ მას.

ახალი კაბინეთის რყევა.

ხმები დადის, რომ მეფე კონსტანტინე მალე დაითხოვს პარლამენტსაო. ახალი სამხედრო მინისტრი იანიკიტი ბოროტად სარგებლობს თავისი უფლებებით, მან პირველმა შეჰქმნა სამინისტროს კრიზისიო. კონსტანტინეს გადაუწყვეტია პალატას პირადად თვითონ გაუსწორდეს.

სერბელი გარდახვეწილები.

ნიშისა და კრაგუევაცის დაცემის შემდეგ სერბელთა გარდახვეწილები ათასობით თავს იყრიან მთაშავეთის აღმოსავლეთ ქალაქებში. გარდმოხვეწილთა შორის შავი ჭირი მძვინვარებს.

„მოკავშირეთა საფლავი“.

ოსმალეთის პარლამენტის გახსნის დროს თავმჯდომარემ გოლც-ფაშას ტრაბახა სიტყვები მოიყვანა: „დარდანელი მოკავშირეთა საფლავად გარდაიქცევაო“.

სომეხი გარდახვეწილები.

პორტსაიდში რამდენიმე ათას სომეხ გარდახვეწილს მოუყრია თავი. ისინი 450 ბარაკში მოუთავსებიათ.

კრეისერი „უნდინე“.

ინგლისელთა წყალქვეშამ ბალტიის ზღვაში დაჰღუპა გერმანთა კრეისერი „უნდინე“, რომლის წყალ-რწყვა უდრიდა 2700 ტონას. შეიარაღებული იყო ათი ოთხდიუმიანი ზარბაზანით, ორი ტყვიისმფრქვეველით და ორი წყალქვეშა ნაღმების მჩვენი აპარატით. გერმანიის ფლოტში სულ შვიდი კრეისერი იყო ასეთის ტიპისა. ერთი „არიადნე“ ჰელგოლანდთან ბრძოლაში დაიღუპა. დარჩა ხუთი.

პოლონეთ-გალიციის შესახებ.

„Dz Kijr“-ს კორესპონდენტი დაპყრობილ პოლონეთის შესახებ სწერს: „როდესაც გერმანელები ვარშავაში შევიდნენ, ახალმა კომენდანტმა გრაფმა არნიმ მოიპატიჟა ყველა პრესის წარმომადგენელ-რედაქტორნი და განუცხადა: ჩვენ ვარშავა ავიღეთ, ქალაქში შემოვედით, მაგრამ ეს ომის დასასრულად არ ჩაითვლება. დღეიდან ვაჩერებთ ყველა ვარშაველ გაზეთების გამოსვლას, ვკეტავთ გაზეთებს

და არა რედაქციებს, ჩვენ მალე შევქმნით სათანადო ცენზურას, რომლის ძალითაც ყველას საკმაოდ შეეძლება ილაპარაკოს ყოველ გვარ საჭიროებაზე, სწერონ პოლონეთის მდგომარეობა-მოთხოვნილებაზეო“.

გრაფ არნიშის სიტყვა გადითარგმნა პოლონურად, პოლონურ ერთ ერთ გაზეთის რედაქტორმა სთქვა: ვარშავაში პრესის გაუქმება, თუნდა იგი დროულიც იყოს, ხალხში დიდს შიშს გამოიწვევსო, ამის გამო იმავე საღამოთი ვარშავაში მოხდა კერძო თათბირი, რის შემდეგაც ყველა რედაქციებს მოწერილობები დაუგზავნეს და გაზეთის გამოშვების ნება დართეს.

ბ-ნ კოსვსკის აზრით, ამ ხანად პოლონეთ-გალიციის პრესამ წინანდელი პოლონეთისადმი მიმართული მწვავე კილო შეიცვალა. ეხლა ეს ორი მხარე მეგობრულად უყურებენ ერთმანეთს.

უკანასკნელი ფოსტა

ცნობილ სერბეთის დიპლომატს განუცხადებია „ნოვ. ვრემ.“-სთვის, მთელი სერბეთის ჯარი მომწყვდეულია და მისთვის ყუმბარების და სანოვაგის მიწოდება შეუძლებელია. სერბეთის ბედი კატასტროფით გათავდება, თუ მოკავშირეები რაც შეიძლება მალე ჯარი არ მიაშველესო.

— სერბეთის ელჩი დავალებულია თავის მთავრობისაგან უარჰყოს ის ხმები, ვითომ სერბეთი მზად არის ზავი შეჰკრას გერმანეთთანნ და მის მოკავშირებთან. მიუხედავად გაჭირებულ მდგომარეობისა სერბეთი უკანასკნელ ჯარისკაცამდე იბრძოლებსო.

— სერბეთის მისია იტყობინება, რომ მთელი ადგილი დაწყებული მორავიდან დასავლეთით უკვე გერმანეთის ხელშიაო.

— მინსკიდან იტყობინებიან, რომ მტერი აუარებელ ჯარს აგროვებს ჩარტორიისკთან, სადაც უკვე გაცხარებული ბრძოლა დაწყებულა.

— სალონიკში მოკავშირეები განაგრძნობენ ჯარების გადმოსხმას.

— საბერძნეთის მეფეს უთქვამს: გამოვაცხადებ დიქტატურას, თუ ჩემს განზრახავს წინ აღუდგებიან ვენიზელოსისტებიო.

— ბულგარეთი დიდძალ ჯარს აგროვებს საბერძნეთის საზღვრებთან.

— პარიზში მოხდა თათბირი კიტჩენერისა, ბრიანისა, გალლიენისა და ჟოფრისა.

— პოლიტიკურ წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ კიტჩენერის გამგზავრებას ბალკანეთში.

ბრძოლის ველზე

ბალკანეთის ფრონტი.

ბულგარეთი გამოვიდა თუ არა ბრძოლის ასპარეზზედ ჩვენ მაშინათვე სათითაოდ განვიხილეთ ბალკანეთის ფრონტზე შეხლილი ძალების სამხედრო ღირებულება, სტრატეგიული პოზიცია, გავხაზეთ თითეულის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული დამოკიდებულება ახალ ფრონტისადმი დ ის აზრი დავასკვენით, ყოველმხრივი უპირატესობა ცენტრალ სახელმწიფოთა მხარეზე იყო, რომ სერბეთი საკუთარი ძალის ანაბარა დარჩებოდა და მთელი სიმძიმე შეუბრალებელი კომპანიისა მას დააწვებოდა, რომ იგი ვერ გაუძლებდა ყველა ამას და თუ არა უუმწვერვალესი რამ მსხვერპლის გაღება და არაჩვეულებრივი რამ ღონისძიება, გამარჯვება შესაძლო იყო შეთანხმების მოპირდაპირე ბანაკს დარჩენოდა. მას აქეთია, ბრძოლის ფაქტიური მიმდინარეობა სერბეთის ტერიტორიაზედ, თან და თან ამართლებდა ჩვენს შიშს, ხოლო დღევანდელი ვითარება, მეტი არ შეიძლება ისე აკანონიერებს ჩვენ წინასწარ ნაგულევ მოსაზრებათ. თან და თან იკუმშება მოპირდაპირეთა წრე. ვიწროვდება ჯართა გაშლის ფარგალი. შეერთებულ ავსტრეთ-გერმანეთ-ბულგარეთის ჯარების რკალი, რომელიც სერბეთს შემოაწვა მთელი ჩრდილოეთისა და მთელი აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ, თანდათან ვიწროვდება, და იმწყვდევს სერბეთის ჯარს. ცნობები მოვიდა იმის შესახებაც რომ ავსტრეთის ჯარი, ბოსნია-ჰერცოგოვინიას მხრივაც მოიწევს, რომ სერბეთის ჯარს თავის შეფარება და ან მოკავშირეთა შესაძლო მაშველ ჯართან შეერთების საშუალება მოუსპოს. აშკარაა განზრახვა ავსტრეთ-გერმანეთ-ბულგარების ჯარისა. მათი წადილია სერბეთის ჯარს გარს შემოერტყან და სრულ კაპიტულიაციაზე იძულებით დაიყაბულონ, იარაღი დააყრევინონ. ისინი ცდილობენ სედანი გაუმართონ ერთი სახელმწიფოს მთელ ჯარს. სერბეთის ჯარი ეტყობა სასოს არ იკვეთს და სულის განწირულებით იბრძვის. აგერ მესამედზე მეტი ტერიტორია დაიჭირეს სერბეთისა მისმა მტრებმა. პეტროგრადში მყოფ სერბეთის მისიის ცნობით ბულგარებს ნიში აუღიათ, კრაგუევაცი გერმანელთა ხელში გადასულა, კროლიევი საშიშ მდგომარეობაში ჩავარდნილა. დღეს „ნოვოე ვრემია გადმოგვცემს ერთ სერბ დიპლომატის ცნობას, რომ ავსტრეთ-გერმანეთ-ბულგარეთის ჯარს ყოველის მხრიდან მოუვლია და მოუმწყვდევია სერბეთის ჯარი, რომ საომარ სურსათის და სანოვაგის მიღება სერბებისთვის ისე შეუძლებელი გამხდარა, რომ მდგომარეობა ერთობ სახიფათოა და მოკავშირეთა მოშველება დაუყონებლივ საჭიროა.

თუ შველა არ მიეცა და სერბეთის ჯარს საბოლოო დამარცხება არ ასცდა, მაშინ შემდგომი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმა საბერძნეთში შეთანხმების სახელმწიფოების მხრივ მეტი იქნება, ნაყოფს ვერ გამოიღებს. აქაც სტრატეგიას და ბრძოლის ველის ვითარებას დაეთმობა ადგილი, და უკანასკნელი სიტყვა.

რუსეთ-გერმანეთის ფრონტი.

შლოკის რაიონში, მდინარე აას მარცხენა ნაპირას რუსები განაგრძობენ შემოტევას; აქ კემერონის მახლობლად რუსებს ფეხი მოუკიდნიათ და შემაგრებულან. ამავე რაიონში რუსებს აუღიათ ოდინგი.

იაკობშტადტისა და დვინსკის რაიონში ბრძოლას უფრო განელებული ხასიათი ჰქონდა ვიდრე წინა დღეს.

დიდი და მკაცრი ბრძოლა სწარმოებს ჩარტორისკის რაიონში, დ. კოლკის ჩრდილოეთით. აქ კერძო ცნობების მიხედვით გერმანეთი დიდძალ ჯარს აგროვებს.

გუტა-ლისოვსკის რაიონში გერმანელების იერიშები რუსებისაგან მოგერიებულ იქმნა. სოფელ ბუდკას სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსებს გაურღვევიათ გერმანელთა ჯარის ხაზი, დაუჭერიათ თვით ეს სოფელი და მისგან ჩრდილოეთ-სამხრეთით მდებარე ტყეები. ტყვედ წამოუყვანიათ 2000 ჯარისკაცი და 50 ოფიცერი და ხელში ჩაუგდიათ ოცამდე ტყვიისმფრქვეველი.

კავკასიის ფრონტზე, დეპეშების ცნობით, არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

მეგრი.

შტაბის დეპეშები

პეტროგრადი, 28 ოქტ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. რუსის ჯარები შლოვის რაიონში წინ იწევენ, მდ. აას ნაპირების გასწვრივ და კემერნთან მაგრდებიან. მათვე დაიჭირეს ოდინგი. იაკობშტადტის რაიონში და დვინსკის დასავლეთით ბრძოლა ნაკლები სიმძაფრით სწარმოებდა, ვიდრე წინა დღით. სამხრეთით პრიპიატის რაიონამდე მდგომარეობა უცვლელია. დაბა კოლკის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. გუტილისოვსკის მხრით გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. სოფ. ბუდკასთან რუსებმა გაარღვიეს ავსტრიელთა ჯარი, შუადღისას ტყვედ წამოიყვანეს 50 აფიცერი და 2 ათასი ჯარის-კაცი 20 ტყვიისმფრქვეველითურთ. მდ. ჩერნიავკაში ბლომად ჩაახრჩეს მოწინააღმდეგე. ამ გამარჯვებაში რუსებს ხელს უწყობდა არტილერიის სიმარჯვე. მდ. ოკონკის რაიონში რუსებმა აიღეს მტრის რამდენიმე თხრილი. ზელეშჩიკოვის რაიონში ავსტრიელებმა ორჯელ სცადეს იერიშით წამოსვლა, მაგრამ ორჯელვე უკუგდებულ იქმნენ.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პეტროგრადში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

IX.

ორი შეხვედრა.

შარშან, სწორედ ამ დროს ოქტომბერში, პეტროგრადში მომიხდა ყოფნა.

ეს ის დრო იყო, როცა ომის გაგანია ცეცხლი ნელ-ნელა ედებოდა ხალხს და საზოგადოების ტალღებს აფორიაქებდა.

მარცხნიდან მარჯვნით ყველა აღტაცებული ეგებებოდა ომს და ვინ იცის როგორ იმედებს არ ამყარებდნენ მაზე.

საითკენაც არ გაიხედავდით ყველა ესწრაფოდა სამხედრო ფორმა ჩაეცვა და სამშობლოს განმათავისუფლებელთა რიგში მოქცეულიყო.

მახსოვს ის მომენტიც, რომელიც უნივერსიტეტში მომიხდა განმეცადა, როდესაც სტუდენტების ჯარში გაწვევა გამოაცხადეს; აუარებელი ახალგაზრდა საათობით იცდიდა რიგში, რომ მალე ჩაწერილიყო სამხედრო სასწავლებელში. იმდენი გამოჩნდა მოხალისე, რომ სასწავლებლები გაივსო და სავალდებულო გაწვევაც გადასდეს.

მთელი ზღვა ახალგაზდობისა აღტაცებული გადადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე და პატრიოტული სიმღერებით მანიფესტაციებს მართავდა.

საზოგადოებრივი ცხოვრების პულსი ძლიერად სცემდა და ომის სიმხურვალე ცეცხლათ ანთებდა მოქალაქეთ და ყველა ცდილობდა რაიმე სარგებლობა მოეტანა თუ იქ, ბრძოლის ველზე არა აქ, მებრძოლთა გასამხნევებლად. ქუჩები ყოველ დღე ფულის მკრეფავებით იყო გავსილი და ყულაბების დამტარებელნი ვერცკი ასწრობდნენ მის გამოცვლას, ისე სწრაფად ივსებოდა. ვიცნობდი ერთ ახალგაზრდას, უმტკიცესი რწმენის ყმაწვილს, შეგნებულს და უფაქიზესი გრძნობებით აღსავსეს. მან მიატოვა უნივერსიტეტი, მეცადინეობა, თუმც სამეცნიერო მუშაობისთვის დარჩენა მოელოდა და უბრალო ჯარისკაცად გაეშურა პირდაპირ ბრძოლის ველზედ. ვნახე ეს ყმაწვილი მაშინ, როდესაც რუსის ჯარი, გამარჯვების შეგნებით მთვრალი კარპატის მთებისკენ მიეშურებოდა. იგი, უკვე აფიცერი, დაჭრილი ჩამოიყვანეს პეტროგრადს და ბრაზით ინიებოდა, რომ არ შეეძლო განეყო გამარჯვებულთა ლხინი.

მთელი თვისი ახალგაზდურის გატაცებით მიმტკიცებდა იგი, რომ ყოველი რუსი ჯარში უნდა ჩაეწეროს და მოღალატედ უნდა ჩაითვალოს ის, ვინც ამ ერთა განსათავისუფლებელ ომში მონაწილეობას არ მიიღებსო. მისი იარა სავსებით არც კი იყო განკურნებული, რომ იგი კვლავ ჯარში გაიქცა. მიდიოდა იმ რწმენით, რომ სიმართლის დამცველ ერს არ შეუძლია წააგოს ომი და საიმედო გამარჯვებაში დარწმუნებული ჩიტის ფრთებს ისხამდა.

მას შემდეგ ერთმა წელმა განვლო. ეს ხანა უკვე საკმარისი დროა, რომ მრავალი რამ შეცვლილიყო.

ომი არასფრით არ იცვლის თავის სახეს და შეიძლება, მხოლოდ ეხლა იწყებოდეს იგი და ცეცხლი მისი ალში ახვევს სულ ახალ და ახალ სახელმწიფოთ.

შეიცვალა მხოლოდ ერთი მხარე: მაშინ გამარჯვებულნი მივდიოდით წინ და ტრიუმფატორის სიდიადით გადავდიოდით ავსტრეთის ქალაქებს; ეხლა კი... გამარჯვებულის ტოგა მოგვხსნეს და დაკარგულის აღდგენას ვცდილობთ.

მაშინ საზოგადოება მარცხნიდან მარჯვნით იმხრობდა, ეხლა კი მარცხნით იწევს საზოგადოების შეგნების სასწორი.

დღესაც საჭირონი არიან უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლენი, რომ ჯარის კაცობა გასწიონ... მაგრამ მოხალისენი აღარ ცხადდებიან და მათი იძულებით გაწვევით სცდილობენ აავსონ სამხედრო სასწავლებლები. საზოგადოების აღფრთოვანებაც დაეცა და ძველებური სიხალისით აღარ ცდილობენ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ჯარს.

ქუჩაში ხანდახან თუ გამოჩნდებიან სხვა და სხვა ყვავილების და ნიშნების გამყიდველნი, მაგრამ ცხვირ-აბზუებულ გამვლელისაგან უკმეხ პასუხს თუ მიიღებენ ხოლმე, ან უმნიშვნელო შავ ფულს თუ ჩაუგდებს ვინმე, რომ როგორმე თავი იხსნას მობეზრებულ გამყიდველისაგან.

ვნახე ჩემი ნაცნობი ეხლაც და ძალიან მაინტერესებდა, რომ თუ შერჩა მას თავისი რწმენა და აღფრთოვანება, რომელიც ისე მაღლა აფრენდა ამ ახალგაზრდას, მაგრამ საუბედუროდ, სხვაზე მეტად მას დასტყობია ეს საერთო სულიერი დაცემა.

— რისთვის ჩამოსულხართ, ხომ არ დაგჭრეს ისევა?

— არა, დავიღალე და თავისუფლება გამოვითხოვე, რომ როგორმე თავი დამეხწია. მომწყინდა ომი და დავიღარაბა. ჩვენ ჩვენი ავასრულეთ, ეხლა სხვებმა იომონ.

ძალიან გამაცვიფრა მისმა პასუხმა. არაფერს ამის და გვარს არ მოველოდი მისგან. სადღაა ის ზეაღმტაცი აღფრთოვანება, რომლითაც იგი ბრძოლის ველზე მიისწრაფვოდა? სად არის ის გიჟური თავდავიწყება, რომლითაც ბრძოლის საშინელ ცეცხლში ვარდებოდა და გმირობის საუკეთესო მაგალითებს უჩვენებდა ამხანაგებს. რომ არ მენახა, ხომ ვერაფრით ვერ დავიჯერებდი, რომ ეს ყმაწვილი, რომლის თავშეუკავებელი გატაცება სამშობლოსათვის თავდადებისა, ესეთი სულდაცემული სიკვდილის შიშით შეეცვლებოდა, რომ ბრძოლის ველიდანაც კი გარბის.

— წაბრძანდით და ფრონტის ცხოვრება განიცადეთ და შემდეგ ჩემზე უარესად იმუსაიფებოთ—მეუნებოდა იგი.

[illegible] წავართვეს ქალაქი ი. (ივანგოროდი)? იმისთვის რომ, როდესაც სამასი ცალი ყუმბარა (снаряды) მოვითხოვეთ, გვიპასუხეს, რომ შეგიძლიათ რვა დასცალოთო და ნუ თუ ასეთ პირობებში გვიბრძანებთ ომს და თავგანწირულებას?

რამდენი სიმართლე იხატება ამ მეომრის სიტყვებში, რამდენიც მხოლოდ უაღრესმა გაჭირვებამ თუ აიძულა რომ ეთქვა მას. და ეს ხომ ანარეკლია იმ სინამდვილისა, რომელიც ძალზედ გვიჭრის თვალებს და გაზეთის ფურცლების გათეთრების შიში გვაიძულებს რომ დუმილი ვარჩიოთ მეტ სიტყვას.

მერე ვინ არის დამნაშავე ამ გულშემზარავი სინამდვილისა?

ვინ მიიყვანა ეს მეომარი და მასთან მრავალი სხვა გმირი ესეთ სასოწარკვეთილებამდე? ეს ყველამ იცის, როგორც ჩვენ აქ დარჩენილებმა, ისე იქ ყინვა და ქარ-ბუქში საფრად მჯდომარმა ჯარმა, რომელიც ყურადღებით დასცქერის შინაურ ფორიაქს და კიდეც ამზადებს თავის სიტყვის თქმას.

ლ. ჯ—ძე.

პეტროგრადი 20 ოქტ.

P. S. გუშინ წინ გწერდით, რომ შინაგან საქმეთა მინისტრთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირში ირჩევა გამოქცეულთა საკითხი შესახებ იმისა, რომ როგორ უნდა დამტკიცებულ იქმნას მათი უფლება ამა თუ იმ საგნებზედ და მოყვანილი მქონდა ბუდინის განსაკუთრებული აზრი და ჭიაბრიშვილის განცხადება. ეხლა შემიძლიან გაუწყოთ რომ თათბირმა 6 ხმის დიდი უმეტესობით უარ ჰყო იუსტიციის სამინისტროს რწმუნებულის ბუდინის განსაკუთრებული აზრი და ჭიაბრიშვილის განცხადება სავსებით დააკმაყოფილა.

ლ. ჯ.

ახალი ამბავი

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** საბჭოს ახალი წევრები მოემატა. ამ ჟამად საბჭო შემდეგ პირთაგან შესდგება: გ. თ. ჟორდანია (თავმჯდომარე), გ. პ. გორდეზიანი (მისი ამხანაგი), დ. დ. კარიჭაშვილი (მდივანი), ივ. ნიკ. მაჭავარიანი, იპ. პ. ვართაგავა, ბ. ნ. ყიფიანი, ივ. გრ. მაღალაშვილი, დ. ი. კასრაძე, დ. დ. პარკაძე, ვ. გ. აბდუშელიშვილი, ზ. გველესიანი, დეკ. ნ. ნათიძე, ივ. სპ. ელიაშვილი (ხაზინადარი), გ. ს. იმნაიშვილი (მისი თანაშემწე).

◆ **შიმშილობა.** თბილისის ქალაქის გამგეობას აუარებელი თხოვნა მისდის სხვა და სხვა ქალაქებიდან. მაგალითად გორიდან ტელეგრაფით იუწყებიან: ქალაქში შიმშილობამ დიდი შიში გამოიწვია, პურს აღარ აცხობენ, იმშვიან თვით საავადმყოფოებიც, საჩქაროდ მოგვაშველეთ 3 ვაგონი ფქვილი. გუმბრიდან: ფქვილი სრულებით აღარ არის. აუცილებლად გამოგვიგზავნეთ

სოფლის რეფორმა

(დასასრული)

ცხოვრება ნამეტანათ გართულდა; ძნელი და რთული საკითხები მიანდო ცხოვრებამ სოფელს გადასაჭრელად. აწინდელი შემადგენლობის ყრილობისათვის ეს პირდაპირ შეუძლებელია. მრავალრიცხოვანმა ყრილობამ, სადაც ას კაცში ოთხმოცდახუთმეტი წერა კითხვის უცოდინარია, რა უნდა გასაჯოს, რა უნდა გადასჭრას, ვის რა გააგებინოს?!!

სოფლის მოხელენიც სარგებლობენ მდგომარეობით, იციან რომ კონტროლის გამწევი და ანგარიშის მომთხოვი არავინ გამოუჩნდებათ და მოურიდებლად, შეუბრალებლად სჩაგრავენ და აჩანაგებენ საწყალ სოფლის ხალხს. და საშინელი ტვირთ ქვეშ იზნიქება სოფელი. მშველელი არსაიდან უჩანს.

მომრიგებელ შუამავლებს შეეძლოთ დიდი ამაგი დაედვათ სოფლის ხალხისთვის, თუ მამასახლის - მწერლებსა და სხვა სოფლის მოხელეებს ჯეროვან კონტროლს გაუწევდნენ. მაგრამ ამ დალოცვილებს არც ეგრე რიგად შესტკივათ გული სოფლის საქმეზე.

მთავრობა დიდი ხანია ხედავდა ჩვენი სოფლის ამ გვარ უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ საქმის გამოსწორებას იგი არ ესწრაფებოდა. მხოლოდ ეხლა, როდესაც საჭირო გახდა ომში გაწვეულთა უმწეოთ დარჩენილი ოჯახების პატრონობა, როდესაც ამ პატრონობას თვით ვერ აუვიდა და საჭირო გახდა თვით ხალხის გარევა ამ საქმეში, მხოლოდ ახლა თავის საქმის გასაადვილებლად საჭიროდ დაინახა სოფლის წყობილების რეფორმა და ამა წლის 26 თიბათვეს დამტკიცდა კანონი, რომლის ძალითაც სოფლის მართველ მომვლელად იქნება დღეიდან ხალხის მიერ არჩეული ოცისთავები, ე. ი. ოც კომლზე ერთი კაცი იქნება არჩეული სამის წლით და ამ ოცისთავთა ყრილობას გადაეცემა. ყველა ის ფუნქცია, რომელიც დღემდე ეკუთვნოდა საერთო სასოფლო ყრილობას.

VII

ამით გავათავებდით ჩვენი დროის სასოფლო წყობილების კრიტიკასა და შეუდგებოდით ახალის თიბათვის კანონის განხილვას, მაგრამ შეუძლებელია გაკვრით მაინც არ შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, როგორიც არის მომრიგებელ-შუამავალთა თანამდებობა.

კანონით, მომრიგებელ-შუამავალი სრული გამგებელი და სულის ჩამდგმელია სოფლისა, ყველაფერი მას უნდა ეკითხებოდეს, ყველაფერი მისგან უნდა დადასტურდეს, მწერალ-ნაცვალმამასახლისთა და მსაჯულთა დამტკიცება-გადაყენება, მათი მოქმედების კონტროლი, ფულის ამკრეფთა „ბორჩიკების“ თვალ-ყურის დევნა, სამამასახლისოების საზღვრების მოხაზვა, სოფლის ამა თუ იმ საზოგადოებაზე მიწერა ან ჩამოშორება, ტოპოგრაფიულ ან ეკონომიურ საჭიროების დაგვარათ; ერთი სიტყვით, კანონითაცა და ფაქტიურადაც მომრიგებელ-შუამავალს იმდენი უფლება და საშუალება აქვს მინიჭებული, რომ მხნე და გულშემატკივარი, იდეური და საქმის კაცი ჩვენ სოფელში სასწაულს მოახდენდა; მაგრამ ვაი რომ, კანონიც და მდგომარეობაც ჩვენ საკეთილდღეოთ არის, გარნა სურვილი ამ კანონის მოხმარებისა არა ჩანს. მართალია ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ როგორ ასრულებენ, რა გულით, რა ფორმით! ფაქტიურათ, მომრიგებელი-შუამავალი დიდათ საპატიო თანამდებობაა, იგი არ აფის უბრალო მოხელეობა, ამისათვის არ თხოულობენ ერთგვარ საკანცელარიო სკოლას, არა, მომრიგებელ-შუამავლად უნდა ირჩევოდეს ადგილობრივი პატივცემული და დამსახურებული მოღვაწე-მემამულე, ადგილობრივ თავად-აზნაურობის წარდგენით.

სამწუხაროთ, ვინც მთავრობას ურდგენს ამ თანამდებობის კანდიდატებს. მათ თვით თანამდებობის ხასიათი და საქმე მაინც და მაინც არ აინტერესებთ და კანდიდატების შერჩევაში სულ სხვა მოსაზრებანი სჭარბობს.

ამისა გამო ჩვენებური მომრიგებელ - შუამავალი - მოღვაწე კი არა, წმინდა წყლის „ჩინოვნიკია“, რომელიც ესწრაფვის თავისი მოვალეობა იქვე თავის კანცელარიაში მოიხადოს, და, არ დაგიდევენ თუ რას აკეთებენ მისგან დამტკიცებული მოხელენი, ცარცვენ სოფლის ხალხს „ბორჩიკები“, ან მშიერი თუ მაძღარი ხალხი. ამაებისთვის მომრიგებელ შუამავლებს არა „სცალიანთ“. ნახევარმა საუკუნემ განვლო, რაც დაარსდა, კანონმდებლის აზრი თუ, ტიპი **მოღვაწე - მომრიგებელ-შუამავლისა**, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ კანონმდებელის აზრით, რადგან ჩვენმა ცხოვრებამ წარმოშო ტიპი მხოლოდ „ჩინოვნიკ“-მომრიგებელ - შუამავლისა. რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლია ხალხისთვის მომრიგებელ შუამავლს, რომ სურვილი და ხალისი ჰქონდეს!

სად ყოფილა მაგალითი საზოგადოების მიერ არჩეული მოღვაწე-მომრიგებელი-შუამავალი ხალხთან მისულიყოს, არა ოფიციალად, არა გზირ-ჩაფარ-მამასახლისთა თანახლებით, არა მრისხანის სახითა და ბატონურისა და ბრძანებითი კილოთი, არამედ მეზობლურად, მზრუნველი გულით, გულიად, ხალხის მდგომარეობის გაგების სურვილით, მაშინ ხომ თვით ჩაფარმამასახლისები მორიდებით და კრძალვით მოეპყრობოდენ სოფელს.

VIII

ამა წლის თიბათვის კანონი სპობს სოფლის თვითამთრველობის უმთავრეს ნაკლს—სასოფლო ყრილობასა და მის მაგივრად აწესებს **ოცისთავთა ყრილობას**; ამიერიდან სოფლის მართველ-პატრონი ეს ოცისთავები იქნებიან. ოცისთავი სოფლად იქნება იგივე რაც ქალაქის ხმოსანი —ქალაქად წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს პატარა ქალაქებში, როგორიცაა გორი, თელავი, სიღნაღი, ნაცვალი ხმოსანთა ყრილობისა შეკრებილიყვნენ მთელი მცხოვრებნი სულერთიანად, სადმე ქუჩაში თუ მოედანზე, სხვა და სხვა საქალაქო საქმეების განსახილველად და გასარჩევად.

ამ თავითვე დარწმუნებით შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მოქალაქეთა ამგვარ საერთო ყრილობისაგან არა გამოვა-რა, გარდა ღრიალ-ჩოჩქოლისო. ბევრი სოფლის საზოგადოებაა რომლის მცხოვრებთა რიცხვი უდრის სიღნაღის მცხოვრებთა რიცხვს! დღეს სოფლის სისტემა შეიცვალა. მის ნაცვლად დაწესდა ოცისთავთა ინსტიტუტი, რაიც როგორც ზემოდ აღვნიშნეთ უდრის ხმოსანთა ინსტიტუტს, ეს არის ერთგვარი წარმომადგენლობითი დაწესებულება.

ოცის თავთა ყრილობა, (რომელიც მეფის ნაცვლის ცირკულიარით უნდა შესდგებოდეს არა ნაკლებ **ოცისა** და არა უმეტეს **ორმოცდაათისა**) არც ისე მრავალ რიცხოვანია რომ ერთი მეორისა არა გაიგონ-რა, ან ვერ შეითვისონ თანამედროვე კრების ტეხნიკა, და არც ისე ცოტანი გახლავან რომ მათი მოსყიდვა შეიძლებოდეს, მით უმეტეს ეს ორმოციოდე კაცი შედგერვა სულ სხვა და სხვა სოფლიდან იქნება, და თუ ერთ სოფელში მოახერხებს რამეს ბატონი მამასახლისი, მეორეში ან მესამეში შეიძლება მას საქმე ვერ გაუვიდეს.

ამის გარდა ოცისთავთა მოღვაწეობა ყველასათვის საჭირო იქნება, მათი ნალაპარაკევი და ნაღვაწი, ყველასათვის ცნობილი იქნება და თვითეული მათგანი მოერიდება უზნეობას.

IX

დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია კარგს კანონს, როდესაც მით კარგად გაგებული და შესმენილი ადამიანი სარგებლობს. ხოლო უხეირო და გაუგებარ კაცის ხელში იგი შეიძლება უბედურების წყაროდაც გადაიქცეს. სწორედ ამ მხრივ არის საშიშარი ამ ახალ კანონის ბედი.

მეფის ნაცვალი გუბერნატორთადმი მიმართულ ცირკულიარში სთხოვს მათ ამ ახალ კანონის განხორციელება დააკისრონ მომრიგებელ შუამავლებს; უკანასკნელებმა „უნდა გაანაწილონ ყველა სოფელი სამამასახლისოებად იმ გვარად რომ მცხოვრებთათვის **ეს განაწილება იყოს ხელსაყრელი ტოპოგრაფიულად და სხვა,** ისე კია რომ ერთის მხრით ყოველ სამამასახლისოს შეეძლოს ყოველივე სავალდებულო და აგრეთვე ზოგიერთი საკულტურო ხარჯის გაწევა, ხოლო მეორეს მხრით დაუბრკოლებელი და სრული მოქმედება ახალ მცირე რიცხოვან (20—50 კაცამდე) წარმომადგენელთა ყრილობის სახით“.

იმავ ცირკულიარში ნათქვამია რომ „დღემდე სამამასახლისოები სდგებოდნენ წინააღმდეგ მათის სამეურნეო ინტერესისა, საპოლიციო და საადმინისტრაციო მოსაზრებათა დაგვარად, ამით აიხსნება ისიც, რომ ზოგიერთ სამამასახლისოში 12,000 სულამდე მცხოვრებიაო“.

როგორაც ხედავთ აქ ორი აზრია გატარებული. პირველში ისა რომ სამამასახლისო (თემი) არც ისე პატარა უნდა იყოს, რომ არ შეეძლოს საჭირო ხარჯების გაწევა და არც ისე დიდი, რომ მის მცხოვრებთათვის უხერხული იყოს ან სიშორისა გამო, ან ტოპოგრაფიულ მდებარეობის მხრივ; ყოველ შემთხვევაში სამამასახლისო უნდა იყოს არა ნაკლებ 400 კომლისა და არა უმეტეს 1000 კომლისა, რათა დაცულ იქმნას ის მინიმუმ-მაქსიმუმი ოცისთავთა, რომელიც ნახსენებია ნამესტნიკის ცირკულიარში ე. ი. 20—50 კაცამდე სოფლის საუბედუროდ და ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ ეს აზრი და დანიშნულება ახალ კანონისა სრულიად უყურადღებო და გაუგებარი დარჩა იმათთვის, ვისაც მინდობილი ჰქონდა ცხოვრებაში ამ კანონის გატარება.

ვინ დაგვიდევს ან ტოპოგრაფიას ან ეკონომიკას! ვინ ამტვრევს თავს იმის გამორკვევას თუ რანაირი მეზობლობა უჯობს ამა თუ იმ მხარეს.

ბატონ შუამავალ - მომრიგებლებმა უწინარეს ყოვლისა ყველაფერი გაამარტივეს, გააადვილეს. უკვე არსებული (ცირკულიარის მოხსენებით ბევრჯელ მახინჯი) საზოგადოებანი ორი და სამი ერთათ შეაერთეს. არავითარი ანგარიში არ გაუწევიათ არც ტოპოგრაფიულ და არც ეკონომიურ მოსაზრებათათვის. აიღეს და, თითქოს კარდონსა სჭრიან, რგვალ-რგვალი სამამასახლისოები გამოსჭრეს. არც მთებია ნაჩვენები და არც მდინარენი: ერთი სიტყვით ნამდვილი ცხოვრება, ხალხი და მისი ინტერესი სრულიად მივიწყებულ იქმნა! საქმე გვაქვს ნაბრძანების უხალისო, უგემურ, ფორმალისტურ შესრულებასთან, არავითარი, ინტე-

15 ვაგონი ფქვილი, ფულს პირველ წამსვე ფოსტით გაახლებთ. ასეთივე ცნობები და თხოვნები მიდის სარაყამიშ-ბაქოდან. ამ ჟამად თბილისსაც აკლია ფქვილი, თბილისის უმეტეს ადგილებში პურს ვერ შოულობენ.

◆ **ქალაქთა კავშირის** დაწესებულებათა მოსამსახურენი კავკასიაში უკანასკნელ 2—3 თვის განმავლობაში თავისს დროზე ვერ ღებულობდნენ ჯამაგირს, მიმდინარე თვის ჯამაგირი, მაგალითად, 20-ს არ მიუღიათ, არამედ მიიღეს გუშინ. რადგან კავშირის კავკასიის განყოფილებისათვის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 4.800.000 მან., ჰფიქრობენ, რომ ამის შემდეგ ჯამაგირები დროზე მიეცემათ მოსამსახურეებს.

◆ **სახალხო უნივერსიტეტთა** საზოგადოების გამგეობამ 28 ოქტომბერს მოისმინა სექციების მოქმედების ანგარიში. როგორც გამოირკვა, მოზდილთათვის წერა-კითხვის კურსები გაუხსნიათ ქართულსა და რუსულ სექციებს. ქართულ სექციის კურსებზე მოსწავლეთა საკმაო რიცხვი დაიარება და საზოგადოდ მეცადინეობა რიგზე მიდის; რუსულ კურსებზე ამ უკანასკნელ კვირამდე მცირე ხალხი დადიოდა, მაგრამ ამ ჟამად მოსწავლეთა რიცხვმა იმატა და გამგეობამ გადასწყვიტა, გაგრძელდეს მეცადინეობა ამ სკოლაში. ამავე კრებაზე გამგეობამ დაადგინა, საზოგადოების წევრთა კრება მოიწვიოს კვირას, 1 ნოემბერს, დილის 10-ნახევარ საათზე, სახალხო სახლში.

◆ **უპურობა თბილისში.** 28 და 29 ამა თვეს თბილისში გამომცხვარი პურის დიდი ნაკლულევანება იყო. ფურნეებთან დიდძალი ხალხი ტრიალებდა; ზოგს ვაი-ვაგლახით გამოჰქონდა ნახევრად უმცხვარი პური და ზოგნიც ხელცარიელი ბრუნდებოდნენ სახლში. დილიდან საღამომდე ფურნეების კარებს არ მოშორებია ხალხი. როგორც ხმა დადის, ზოგს მეფურნეს ჯერ კიდევ აქვს ბლომად ფქვილი, მაგრამ პურს განგებ არ აცხობენ.

◆ **სურსათი.** 28 ოქტომბერს თბილისში შემოვიდა რკინის გზით: ფქვილი 20 ვაგ., ქვავი 5 ვაგ. ქერი 4 ვაგ. ღვინო 2 ვაგ. ფხვნილი შაქარი 2 ვაგ. კართოფილი 1 ვაგ. კომბოსტო 2 ვაგ. ბატები 1 ვაგ. ხილი 4 ვაგ. მარილი 1 ვაგ. ნავთი 1 ვაგ. ხახვი 58 ფუთი, ბრინჯი 208 ფუთი, კვერცხები 290 ფუთი, კარაქი 50 ფუთი, ყველი 63 ფუთი.

◆ **შიო მღვიმელის** ლიტერატურულ მოღვაწეობის აღსანიშნავად, 28 ოქტომბერს თათბირი ჰქონდათ ქართველ დედებს. რამდენიმე პროექტი იქნა წარმოდგენილი იმის შესახებ, თუ როგორ გადაიხადონ დღესასწაული ამ ბავშვების საყვარელ მგოსნის მოღვაწეობის აღსანიშნავად. ყველა დამსწრე იმის მომხრე იყო, რომ დღესასწაული ახლო მომავალში იქნას გადახდილი და, რაც შეიძლება, საერთო ეროვნული ხასიათი მისცეს დღესასწაულს. თათბირის გაგრძელება მოხდება მომავალ ორშაბათს, 2 ნოემბერს. აზრად აქვთ აირჩიონ საგანგებო კომიტეტი, რომელიც დღესასწაულს მოაწყობს და გაუძღვება.

◆ **სასურსათო ვაგონები ამიერ-კავკასიისათვის.** საგანგებო თათბირზე, რომელიც შესდგა სამხედრო მიმოსვლათა უფროსის გენერალ-მაიორის კარპოვის თავჯდომარეობით, დაუდგენიათ, რომ პირველ საჭიროებათა სურსათის მისატანად ბაქოსა და ბაქოს სამრეწველო რაიონისათვის დღეში დაინიშნოს 120 ვაგონი, ბაქოს გუბერნიისათვის 10 ვაგონი, თბილისისა და თბილისის გუბერნიისათვის 31 ვაგონი, ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიისათვის 10 ვაგონი, ბათომისა და ბათომის ოლქისათვის 2 ვაგონი, ხოლო ერევნისა და ყარსისათვის 37 ვაგონი; სულ დღეში 210 ვაგონი. ამასთანავე თათბირს მხედველობაში მიუღია ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგებზე საქონლის გადატან-გადმოტანას ერთობ ხელს უშლის ნავთის საზიდავი ცისტერნები. ამიტომ თათბირი ჰფიქრობს, ბაქოდან ნავთსადენით გამოუშვას დაწმენდილი ნავთი და ლიანდაგი გაანთავისუფლოს ცისტერნებისაგან. თუ ეს აზრი განხორციელდა, იმ შემთხვევაში საკმაო სურსათის მოწოდება ამიერ-კავკასიისათვის დაუბრკოლებლივ შეიძლება.

◆ **ხოლერა.** 28 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერის ნიშნებით 1, გამოეწერა 2 და გუშინ, 29 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 38 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი.

საზოგადოებანი და კრებები

წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის დადგენილება.

27 ოქტომბერს, გამგეობამ დაადგინა, განყოფილებებმა თავიანთ შემოსავლიდან 20 პროცენტის ნაცვლად აძლიონ წლიურად საზოგადოების მთავარ გამგეობას 10 პროცენტი. აგრეთვე დადგენილ იქმნა, საზოგადოების სკოლის მასწავლებელს, რომელიც ომშია გაწვეული ჯარისკაცად, შეენახოს ადგილი, ხოლო ომში ყოფნის დროს ეძლიოს ჯამაგირის ნახევარი. გამგეობამ განიხილა წიგნების გამომცემ სექციის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ინსტრუქციაში გარკვევით იყოს აღნიშნული ის მუხლი, რომელიც უფლებას ანიჭებდეს სექციას გამგეობასთან დამოუკიდებლად გამოსცეს წიგნები. და დაადგინა, ეს საკითხი გადაეცეს განსახილველად საზოგადო კრებას. ამავე კრებაზე გამგეობამ დაამტკიცა აკაურთის (ბორჩალოს მაზრა) სკოლის მასწავლებლად ბაგრატა ბეთანელი. საზოგადოების მოსამსახურეთა საპენსიო წესდების პროექტის განხილვა არ მოესწრო და გადადებულ იქმნა შემდეგ კრებამდე.

რესი კანონის არსებითი მხარისადმი არ გამოუჩენიათ.

დალოცვილებს, ის მაინც როგორ დაავიწყდათ რომ ამ უკანასკნელ ათი ხუთმეტი წლის განმავლობაში, სამამასახლისოები ხალხის ნებით კი არ შეერთებულან არამედ გაყრილან. მაგალითი: ხალხის თხოვნით ბობნევის საზოგადოება გაიყო ორად, აგრეთვე ქარელისას გამოეყო ზღუდრისა. ხალხმა არც ეს იკმარა და ითხოვა რომ მას კიდევ ხვედურეთის ხეობაც გამოეყოს. ხოვლეს საზოგადოებას გამოეყო დოესისა. ამის მაგალითი სხვა კიდევ ბევრია.

აი ცხოვრება საითკენ მიდის.

არსებული სამამასახლისოები სიდიდისა გამო უხერხულნი აღმოჩნდენ, ხალხიც მას უფრო მცირე ერთეულებად ჰყოფს.

მართლაც და, თუმცა პირველში მთავრობაცა და ხალხიც სულ სხვა ნაირად იქცეოდა, სოფლებს აქუჩებდა და აერთებდა რომ ხარჯი ნაკლები ყოფილიყო, მაგრამ მერე, როდესაც ხალხი გამრავლდა, როცა დაინახეს რომ ამოდენა ხალხს ვერ აუდის ვერც მამასახლისი და ვერც სოფლის მსაჯულნი, რომ ეს მოუცლელობა ამ სოფლის მოხელეთა არის მთავარი მიზეზი მექრთამეობისა, ხალხი სულ სხვა გზას დაადგა, თვითმართველობის გასაადვილებლად დიდი სამამასახლისოები, მცირე საზოგადოებად დაანაწილეს ადგილისა და ეკონომიურ მოსაზრების მიხედვით; ეს ტენდენცია დაიწყო უკვე წარსულ საუკუნის დამლევს.

მაგრამ ცხოვრების ეს გაკვეთილები ასცდა „პოსრედნიკების“ გაგრილებულ გულს და სხვა ფრივ გართულ გონებას!

შეაერთეს მთა და შორეული ბარი, გადაბეს გადუვალი ქედი გადუსვლელ ხევს. მიაკოწიწეს ისეთი კუთხეები ერთმანეთს რომელნიც ერთმანეთს აროდეს არ ხვდებიან. მიუხედავად მეფის ნაცვლის ცირკულიარისა, რომ ოცის თავნი არ უნდა აღმატებულიყვნენ 50 კაცს, შეადგინეს ისეთი ახალი სამამასახლისოები, სადაც 2,000 კომლზე მეტია, მაშასადამე ოცის თავთა რიცხვი ასზე მეტი იქნება.

მაშ ისევ ძველებური მრავალრიცხოვანი ყრილობა დარჩა! საბუთად ხანდახან ის მოყავთ რომ დიდს შეერთებულს სამამასახლისოებს შეეძლებათ დიდი ჯამაგირების გაღება და მაშასადამე ინტელიგენტ კაცების მოწვევაო. ეს სულ ტყუილი იმედია; ჯერ ერთი ისეთ ჯამაგირს ვერ გაიღებენ, მართლა ინტელიგენტი მიიზიდონ, მეორე ის რომ ინტელიგენტიც უკონტროლოდ იგივ უბედურება იქნება, რაც წინედ. მესამე ის, რომ რაც გინდა ინტელიგენტი იყოს, იგი ამოდენა ხალხს ვერ გასწვდება, და თუ ხალხი დღეს იმითია უფრო უკმაყოფილო რომ ამასახლის-მსაჯულები მათ ვერ აუდიან, დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ამ გვარ შეერთებულ და ისიც ხელოვნურად შეკონკილ საზოგადოებაში, ხალხი დარჩება მამასახლისისაგან უპატრონო და მსაჯულთაგან გაუკითხავი.

ისე ინგრევა და ისე შენდება სოფლის წყობილების საფუძველი, რომ სოფლის ხალხს არა ეკითხება-რა.

და სოფელი ძველებურ უმწეო მდგომარეობაში რჩება. კარგი კანონიც ცუდია მისთვის უხეირო აღმასრულებლის წყალობით. ხოლო ცუდი კანონიც კი კარგის ამსრულებლის ხელში სასარგებლო ნაყოფს გამოიღებდა. სოფელს შველა უნდა, შველა!

ვინმე სოფლელი.

ნობათები

სული ტკბილია და!

(ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან)

I

— კაცო, რატომ ამ ნაპირებს არ გაამაგრებ?—მიმართა ტეფუნას ცოლმა, როცა საღამო ხანი მოახლოვდა და მუშაობას თავი ანებეს. რამდენჯერ უნდა მოგაგონო, ადამიანო, არ მეტყვი? დიდება შენთვის, ღმერთო! გაგონილა და თქმულა ასეთი უთაობა! ადამიანო, ხომ ხედავ სადამდე არის ეს ადგილი მორხამული!

— აბა, ახლა რაღა იქნება, ჩემო მაიავ!—უპასუხა ტეფუნამ,—ძალიან ხშირი წვიმებია და ხელს შეგვიშლის. ჯებირის ამოყვანა ძნელია. მაისმა გაიაროს.

— დედიჯან! რანაირად მოიღრუბლა!—წამოიძახა ტეფუნას ათი წლის ვაჟმა.

— მოიღრუბლა, შვილო, და აი აქ არ არის!—სთქვა ტეფუნამ ამაყად და თლილი მჭადაქვით ნაგებ თავის კოხტა მარანს თვალი გადაავლო.

მარანს წინ უშველებელი თუთის ხე ასტუზოდა და კარ-მიდამოს უჩრდილავდა, ზურგთუკან კიდევ ხევი ჩამოურბოდა. ხევის დაბალი დაქანებული ნაპირი მაყვლებით იყო დაფარული. ყოველ ადიდებაზე ხევი გაცოფებული ეხეთქებოდა ხოლმე მაყვლიანსა და მშიერი მგელივით ძირს უხრავდა.

ტეფუნამ ცას შეჰხედა. მართლაცა და ძალიან შავი ღრუბლები მოსდებოდა.

საზარელი სულის შემხუთავი სიწყნარე ჩამოვარდა. ქედანა ძაღლმა ყმუილი ასტეხა. ხევში მხუილი გაისმა, ეტყობოდა მთაში კიდეცა სწვიმდა.

— რა გაყმუვლებს შე სამგლე, შენა!—დაუტია ტეფუნამ ძაღლსა და კუნძი ესროლა.—დედაკაცო!—მიუტრიალდა ახლა ცოლსა.—სოფელში წაველ. გია დამპირდა, ვალს მოგცემო. ფულები აულია.

— წახველ და შინაც მიდი. თათინოს საბანი წამოუღე. ღამ-ღამობით ცივა ხოლმე. ემანდ არ გაცივდეს, ქორფაა.

თათინოს მარნის წინ აკვანში ეძინა და ძაღლის ყმუილზე გამოეღვიძა. ტირილი მორთო.

მაიამ აკვანი მარანში შეიტანა.

ტეფუნა ჩაჰყვა გველივით დახლაკნილ ხევს და იქაურობას თვალიერება დაუწყო.

ხევი თითქმის მთელ ბაღს მისდევდა და ყოველ წლივ თავის გემოვნებაზე აკუწუბებდა.

ტეფუნამ თავი გაიქნ-გამოიქნია წყლის ნაოინარზე და გულში გადასწყვიტა უთუოდ რამე ეღონა. ბაღი ყოველწლივ კაი შემოსავალს აძლევდა. შიგ ხეხილიც იდგა, ვაზიანიც იყო და ბოსტნეულობაც მოდიოდა. ოთხი დღისა იქნებოდა. ტეფუნას ეს მამული, სახნავ-სათესი და სათიბი მიწები და კოხტად მოწყობილი ორ ოთახიანი სახლი, რომელსაც სოფელში საუკეთესო ადგილი ეჭირა, მამამ დაუტოვა.

რომ გაკეთებულ მამულს ვერ მოუარო ხომ შევრცხვიო, გაივლო თავში ტეფუნამ,—აქამდისაც რომ მაიასათვის ყური მეგდო, ეს ხევი ბაღს ამდენ მიწას არ გამოაცლიდაო.

მამულის პატრონმა საჩქაროზე შემოუარა ბაღის ბოლოს, აჰყვა ბაღის მეორე მხარეს, გასინჯა ღობე, ხომ არავინ წაახდინა რამეო, მოექცა ბაღის თავსა და სოფლის გზაზე გავიდა. ოთხი ვერსი ჰქონდა გასავლელი. უკანვე უნდოდა თვალნათლივ დაბრუნებულიყო და ფეხს აუჩქარა.

გზაზე წვიმამ მოასწრო. სოფლის ბოლოს რომ მიაღწია, დუქანს შეაფარა თავი.

II

ტეფუნას დუქანში გია დახვდა.

— ბიჭოს, ესაც აქა ყოფილა!—წამოიძახა ტეფუნამ. მე კი ეხლა თქვენსა მოვდიოდი. შინ მეგონე. კიდევ კარგი აქ შემოველი, თორემ აგცდებოდი.

— პატარა მოვიცადოთ, ე წვიმამ გადაიღოს,—უთხრა გიამ, ცოტა ღვინოც დავლიოთ და მერე ჩემსას წავიდეთ. ფული შინა მაქვს.

— მოვიცადოთ,—დასცა დასტური ტეფუნამ, რაკი ღვინო უხსენეს.

ღვინო უყვარდა.

— შენ რომ ადამიანის ხელის გამართვა იცი, ტეფუნა,—დაუწყო გიამ,—ღმერთმანი სხვა არავის ეცოდინება. იცი, კაცო,—მიმართა მედუქნეს,—როგორი გაჭირვებისაგან დამიხსნა? ვთხოვე ფული და მომცა. მე და ჩემმა ღმერთმა ამისთანა სამეზობლო კაცი არსად შემხვედრია!

სტყუოდა. სწორედ ერთი კვირა სდია ტეფუნასა და ელიჯინებოდა, ფული მასესხეო.

— მაშა, აბა როგორ არ გამემართნა ხელი, სთქვა ტეფუნამ.—ადამიანი რასაც დასთეს იმას მომკის. ღმერთმა გადღეგრძელოს, გია! შენისთანა პირიანად ვალის გადახდა არავინ იცის. სწორედ რომ ვადაზე დაუბრუნებ ხოლმე კაცს ფულსა.

არც ეს იყო მართალი. ამ სამი წლის წინად გიამ ტეფუნასაგან ერთი წლით ისესხა ფული და აქნობამდე არ გადაეხადნა. ტეფუნა ეუბნებოდა, მოიტა, კაცო, ოღონდ თავნი მომეცი და სარგებელი ალალი იყოს შენზე, არ მინდაო.

გია და ტეფუნა ერთმანეთის ქებაში ძალიან გაერთვნენ. დაღამდა. ღვინო ჩარექა ჩარექაზე ისმეოდა... წვიმაც გადაღებას არ აპირობდა. პირ-იქით თანდათან უფრო უმატებდა.

შუა ღამე გადავიდა.

ღვინომ თავისი ძალა გამოიჩინა. ადამიანების სრული ბატონი შეიქმნა.

— შენ გენაცვალე... გია... შენა!—ეუბნებოდა ტეფუნა ტკეპნით და ეხვეოდა.—არაფერი გეწყინოს რა... ნამდვილად... ჰო მე და ჩემმა ღმერთმა!.. კაცური კაცი ხარ, კაცური... ჰო მე და ჩემმა ღმერთმა!..

— ჰო... შენი ჭირიმე, შენი!..—ლუღლუღებდა გია და თან ბოძს ეჭიდებოდა,—მოდი ერთი გაკოცო.

წვიმა თავსხმად გადაიქცა. ხევის ხმაურობა სოფლამდე აწვევდა.

ტეფუნა და გია მედუქნის ტახტზე მიეყარნენ და ხვრინვა ამოუშვეს.

III

გათენდა, როცა წვიმამ გადაიღო. ქარმა ღრუბლები დაირეკა და შორს სადღაც მთას იქით გადაფანტა. მზემ სოფელს გადმოხედა.

ტეფუნასა და გიას ისევ დუქანში ეძინათ. სოფელი კი წამოშლილიყო და ერთი ჩოჩქოლი იდგა, ყველგან ვაი და ვიში ისმოდა. ნიაღვარს ზოგისთვის ყანა გაენადგურებინა, ზოგისთვის ვენახი.

დუქანში მენახირე შემოიჭრა.

— კაცო, ტეფუნა ხომ აქ არ არის?—ჰკითხა ქაქანით მედუქნეს.

— მანდე, ტახტზე არა სძინავს!

— ტეფუნა! ადე, კაცო, ადე!—დაუწყო ღვიძება მენახირემ!—ადე!

ტეფუნა ვერ ირკვეოდა და ზმუოდა.

— რა იყო, კაცო?—შეეკითხა მედუქნე მენახირეს.—რა საქმე გაქვს ისეთი?

— რა და, ხევმა ამისი მარანი მოიტაცა.

დიდხანს ეჯაჯგურა მენახირე ტეფუნასა, როგორც იყო გამააღვიძა.

— შენი მარანი აღარ არის, ხევს მოუტაცნია,—უთხრა მენახირემ.

ჩემი მარანი აღარ არისო?,—გაიმეორა ტეფუნამ.

— ჰო, შენი მარანი!..

— ჩემი ცოლშვილი?—იკითხა გაფითრებულმა ტეფუნამ.

— როგორ თუ შენი ცოლშვილი?—შეეკითხა მენახირე.—დილას ნახირი გავრეკე. ძროხა შენ ბაღში გადამივარდა. ი ვერანამ ხევის პირამდე მარბეინა!.. ვნახე შენი მარანი აღარ იყო და სოფელში გამოვიქეცი. შენი სახლი დაკეტილი დამხვდა. ალალ ბედზე შემოვედი აქა და გიკითხე.

ტეფუნა გიჟივით წამოიჭრა.

— ცოლშვილი დამღუპვია! — დაიყვირა საზარლად და თავის ბაღისკენ გაექანა.

— არიქა, გაჰყე უკან!—უთხრა მენახირეს მედუქნემ.—ემანდ თავის თავსაც არა უყოს რა. ხედავ როგორ აირია... ცოლშვილი მარანში ეყოლებოდა... მეც წამოვალ.

IV

ტეფუნა ისეთის სისწრაფით გარბოდა, რომ გაჭენებული ცხენიც ვერ დაეწოდა. ბედზე მენახირისაგან შეჩოჩქოლებულ ტეფუნას მეზობლებს მოეყარათ თავი ტეფუნას ბაღში და ხევს უცქეროდნენ.

წყალი ჯერ არ ჩამომჯდარიყო. უშველებელ ლოდებს მოაგორებდა და რუხრუხი გაჰქონდა. ტეფუნას მარნის ადგილას მორევი ტრიალებდა და დაკოდილ გველვეშაპივით ხრიალებდა. მარტო თუთა გადარჩენილიყო. გამძვინვარებულ წყლის წყალობით ნახევარი ფესვები გარს გამოჰყროდა და ისე გადახრილიყო ხევისაკენ, თითქოს ცნობის მოყვარეობას გაუტაცნია და უცნაურ ახალ არსებას, მორევს, ათვალიერებსო.

— ვაიმე, დაღუპულო ცოლშვილო!—გაისმა საზარელი ხმა.

ხევის ნაპირას მდგომთ უკან მოიხედეს და გახელებული ტეფუნა დაინახეს.

— ხალხნო!.. დაიჭით!.. არ გაუშვათ!..—ყვიროდა შორიდან მენახირე.

ხუთი ახალგაზდა ვაჟკაცი გადაეღობა ტეფუნას წინა.

— გამიშვით!.. გამიშვით!—დაიწყო ყვირილი ტეფუნამ.—გამიშვით, თქვე უღმერთოებო! გამიშვით!.. რაღად მინდა თავი ცოცხალი?!. ვაიმე დაღუპულო ცოლშვილო!.. გამიშვით!

ტეფუნამ ხელებისა და ფეხების ქნევა დაიწყო. გასხლტომას ლამობდა.

— ეჰ, ეჰ! როგორ მიიბრძვის!—სთქვა მენახირემ, რომელმაც ის იყო მოირბინა.—მაგრა დაიჭით, ბიჭებო! არ გაუშვათ!

— ვერსად წაგვივა, ვერსად!—გაისმა პასუხად.

პატარა ხანს უკან ტეფუნა დაიღალა და მოეშვა. ხუთი კაცის ძალასთან ვერა გააწყორა. მხოლოდ „გამიშვით“-ს ღა ყვიროდა.

— ეხლა კი გაუშვათ!.. დაწყნარდა.—სთქვეს ახალგაზდებმა და თავი ანებეს ტეფუნასა.

ტეფუნამ რაკი თავისუფლად იგრძნო თავი, ისევ ხევისკენ გაექანა, მაგრამ ნაპირს რომ მიუახლოვდა შეჩერდა.

— ვაი ქის, უბედური!—წამოიძახა ერთმა დედაკაცმა.—სული ტკბილია და!.. თავი ველარ გაიმეტა.

ტეფუნა დაეცა ნაპირზე და მორთო ხმა მაღლა ტირილი.

— ჩემი ბრალია, ჩემი!—იძახდა გულსაკლავად.—მე დავღუპე ჩემი ცოლშვილი. ნეტავი ვინმემ მომკლას და გამათავოს! ნეტავ ფეხი გამხმობოდა და დუქანში არ შევსულიყავ! ნეტავი კრიჭა შემკვროდა და ღვინო არ მეხეთქნა. ოჰ, გია, დაიქცეს შენი სახლკარი!.. რაღად მინდა თავი ცოცხალი!..

ხალხი უცქეროდა და ზოგი იცრემლებოდა და ცოდვით იწოდა, ზოგი ჯავრობდა და იძახდა:

— ბრალი იმათი რომ დაიღუპნენ, თორემ მაგას რაო? იგლოვებს, იგლოვებს და დაჩუმდება, ახალგაზდა კაცია ერთპირობა ცოლშვილს კიდევ გაიჩენსო.

ინ—ბანი.

რასა სწერენ?

ბ-ნი **ანი** ფედერალისტების შესახებ. რომ „მეგობრისთვის“ სოციალიზმი არაფერია და ნაციონალიზმი ყველაფერი—ამას ამტკიცებს მისი ყველა ნომრები, საიდანაც პირველი სავსებით გამქრალა და მეორე სავსებით დასადგურებულა. აქ რასაკვირველია, პირველი ადგილი უჭირავს ავტონომიას,-რომელიც კაიხანია ყოველივე ჩვენი წყლულის მალამოთაა გამოტანილი. მართალი მოგახსენოთ, ამ პროგრამულ მუხლმა დიდი ზიანი მიაყენა ფედერალისტთა ტაქტიკას. ის მათთვის შეიქნა არა ისეთ მიზნათ, რომელიც იძლევა მოქმედებასაც, აცხოველებს ტაქტიკას; არა, მან თითქმის სავსებით მოსპო ტაქტიკა, დაცარა მოქმედება. ეს ერთნაირი ფედერალისტური ბოლშევიზმია. მართალია ისინი სიამოვნებით მიიღებენ ყოველივე

რუსეთის ბიუროკრატიისაგან გადმოსროლილს, მაგრამ თვითონ კი ხელს არ ანძრევენ, მოქმედების უნარს ვერ იჩენენ. სად არიან ისინი, სად მოღვაწეობენ პრაქტიკულად? ბანკში და სამრეწველო დაწესებულებებში, ხოლო ხალხში, სახალხო დაწესებულებებში სანთლით საძებარია. აი ამ მოქმედების **პარალიჩის** მიზეზია ავტონომიის უსაშველოდ გაბერვა, მისი დოგმათ გამოტანა და ხელშეუხებელ მკურნალოთ გამოცხადება. თუ უავტონომიოთ ვერაფერს ვერ მივაღწევთ, აშკარაა ყოველ-დღიური პრაქტიკული მოღვაწეობაც მეტი ბარგია და ისევ კარგ ადგილებზე მოკალათებით ვუცადოთ მის განხორციელებას. ამ აზროვნებამ შებოჭა მათი მოქმედება და განდევნა სახალხო ასპარეზიდან. ისინი თავს არ იწუხებენ ისეთი „წვრიმალი“ კითხვებით, როგორიც ხალხის ეკონომიური და საზოგადოებრივი ყოფა-მდგომარეობაა, მისი შეკავშირება და გაძღოლა, ყოველივე ეს ავტონომიისაგან უცებ მოგვეცემა და, მაშასადამე, მანამდის ამეებზე თავის ტეხა დროს დაკარგვაა. სწორედ ჩინებული ფილოსოფიაა იმათვის, ვისი მიზანია კაპიტალიც შეიძინოს და სახელიც მოიხვეჭოს. საკმარისია ავტონომიზე წარა-მარა იყვიროთ, რომ მათ ბანკმა ცამდის აგწიოს და თან გემრიელი ლუკმაც მიიღოთ. მხოლოდ მართლაც მომქმედი და ხალხისათვის თავდადებული მათთვის ჩირათაც არ ღირს. ამიტომ მათ გარეშემო თავი მოიყარა მყვირალა ადგილის მაძიებლმა, სხვადასხვა ჯურის ფანფარონებმა და უსაქმურებმა, რომელთაც პარტიისათვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ. ჩვენ არ ვიცით მეორე პარტია, გარდა ფედერალისტებისა, რომელსაც არავითარი პრაქტიკული პოლიტიკა არ ქონდეს.

რასაკვირველია, ეს უმოქმედობა არ ახალია, ძველია. ის მომდინარეობს პარიჟის „საქართველოს“ პირველ ნომრიდან, სადაც ავტონომია ყოველივე სენის უებარ მალამოთ გამოაცხადეს და მოდის დღევანდლამდის. ამ საერთო ატმოსფერაში ერთად-ერთ „კლდემ“ შეიტანა სხვა ჰანგი, წამოაყენა პატარ-პატარა პრაქტიკული კითხვები, შეეცადა პრაქტიკული პოლიტიკის შემუშავებას, მაგრამ ისიც მალე ჩაითრია საერთო ატმოსფერამ და მოსალოდნელი შედეგი ვერ გამოიღო. ყოველ შემთხვევაში ამ მხრიდან უფრო ადრე უნდა ელოდე მოსაქმე ხალხის გამოჩენას, ვიდრე ფედერალისტთა ბანაკიდან, რომელნიც თავიდანვე დოგმატიკები შეიქნენ და თავის პარტიულ საკანში პოლიტიკურ ბერათ აღიკვეცენ.

ილიას საღამო

ხარფუხის კლუბში

(რეცენზიის მაგიერი).

როგორადაც მალე ვიცით ხოლმე უზომო, თავდაუჭერელი აღტაცება, აპილპილება, ამა თუ იმ ჩვენებურ მოღვაწის საზეიმო, ან სამგლოვიარო საპატივსაცემო დღის აღნიშვნის დროს,—ეგრედვე მალევე ვივიწყებთ ხოლმე ისეთ ღირს შესანიშნავ მოვლენას ჩვენი მოქალაქეობრივ ცხოვრებისას, რომელსაც, სადაც ჯეროვანი შეგნებაა, ჩვენთვის საშვილიშვილო დაღი უნდა დაემჩნია... დიდი ილიას-მიერ გავლებული ღრმა კვალი ჩვენს კულტურულ-ეროვნულ შემეცნებაში ისეთი დიადი მოვლენაა ჩვენისთანა პატარა ერის ცხოვრებაში, რომ ამ ბრწყინვალე მოღვაწეობის ასე მალე და ადვილად მივიწყება, მეტი რომ არა ვსთქვათ,—ჩვენი უმადურობით თუ აიხსნება. ილიას გარდაცვალებამ თითქოს შესძრა და შემოსძრა ყოველი კუთხე ჩვენი მხარისა. იგი „მეფურადაც კი დავასაფლავეთ“ და აღთქმად, სხვათა შორის, ისიც დავდეთ, რომ მისი ხსოვნის არ დასავიწყებლად, ყოველწლიურად, 27 ოქტომბერს, გვედღესასწაულა ილიას დაბადების დღე,—აღგვენიშნა იგი სალიტერატურო დილა-საღამოებით, რომლის შემოსავალიც უნდა გადადებულიყო ილიასვე სახელზე დაარსებულ კულტურულ ფონდისთვის. პირველ ორ წელიწადს, ავად თუ კარგად, თითქოს ვიხსენებდით კიდეც ჩვენთვის თავდადებულ მოჭირნახულეს, მაგრამ გავიდა კიდევ ოთხი-ხუთიოდე წელიწადი და ჩვენ ზნეობრივ მოვალეობასაც ჩვეულებრივი, ქართველური ხავსი მოეკიდა...

პირდაპირ აუხსნელია ესეთი ინდიფერენტიზმი ჩვენი საზოგადოების შეგნებულ ნაწილისა, მით უმეტეს, რომ ამ დილა-საღამოებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვსთ, საზოგადოებაც ხალისით ესწრება და მათი შემოსავალი ხომ საგრძნობელი და სანატრელია ჩვენ ღარიბ კულტურულ დაწესებულებათათვის.

ამიტომ მადლობის ღირსია ხარფუხის კლუბი, რომელმაც—ერთად-ერთმა, ჩვენ მრავალ კულტურულ დაწესებულებათაგან,—უმალ გაიხსენა დიდი მამულიშვილის ხსოვნა და სამშაბათს, 27 ოქტომბერს, მოაწყო ილიას ხსოვნის საპატივსაცემო საღამო. მართალია ორიოდე დღეში შეხანხლული საღამო, თავისი შინაარსით, იმდენად არ შეეფერებოდი იმ დიდი ადამიანის ხსოვნას, რასაც ჩვენ მოწიწებით და ჯეროვანის პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ, მაგრამ, მაინც, თვით-ფაქტი ასეთი გახსენებისა, მადლობით აღსანიშნავია. როგორც მოგახსენეთ, აღნიშნული საღამო ნაჩქარებით მოწყობილი იყო, უპრეტენზიო, სადაშინაარსიანი, ამიტომაც მოკლედ გადმოვცემთ იქიდან გამოტანილს „საყველპურო“ შთაბეჭდილებას.

ფარდა რომ აიხადა სცენაზე გამოჩნდა დაფნის-გვირგვინით და ყვავილებით შემკული ბიუსტი ილიასი, რომელსაც გარშემორტყმოდნენ, თაიგულებით ხელში, საღამოზე მონაწილენი (ზოგი მათგანი საშინაო და ფორმის პიჯაკებშიაც კი იყო „გამოწყობილი“).

დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მგოსნის ხსოვნას და სიმებიანმა ორკესტრმა შეასრულა შოპენის ცნობილი სამგლოვიარო ჰიმნი, რის შემდეგაც ბ. ნ. ერისთავმა და მგოსნებმა: ს. ფაშალიშვილმა, ი. გრიშაშვილმა და სხ. წაიკითხეს, როგორც ილიასი, ეგრედვე თავიანთი ნაწარმოები. განსაკუთრებით ყურადღების ღირსი იყო, გრძნობიერად წაკითხული, დროის შესაფერი და შინაარსიანი ლექსი ახალგაზრდა მგოსნის ს. ფაშალიშვილის: „მამის მკვლელნი“-ს სათაურით, რამაც საზოგადოებისგან ხანგრძლივი ტაში გამოიწვია. ამ ხელმოკლე, ჯერ სულ ახალგაზრდა მგოსანს მართლაც ჯეროვანი ნიჭი ეტყობა და კარგი იქნება, რომ იმის გატაცებულ სურვილს—განვითარებისას ჩვენი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევდეს.

ჩვენ არ გვესმის რად დასჭირდათ საღამოს გამგეთ სცენაზე გამოეშვათ ვინმე ჩინოსანი, რომელმაც „ბუნების კარიდან“ გაჭირვებით წაიკითხა—„სამშობლო ხევსურისა“.

საყურადღებო მოგონება ილიაზე წაიკითხა ცნობილმა ბელეტრისტმა ს. მგალობლიშვილმა. და ბოლოს, ვ. გუნიას და ქ-ნ ჯავახიშვილის მარილიან თამაშით, წარმოდგენილ იქმნა პიესა გადმოკეთებული ილიას „კაცია ადამიანი“-დან.

გი—ახ—ელი.

პროვინციის ქრონიკა

დ. ხონი.

ხონში ხურდა ფული არ იშოვება; მცხოვრებლები დიდ გასაჭირში არიან.

— შაბათს, 24 ოქტომბერს ხონის საზოგადო საკრებულო დარბაზში გაიმართა „საოჯახო საღამო". ხალხი ბლომად დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა.

— უნავთობის გამო ღამე ფარნებს არ ანთებენ.

— წელს გვარიანი მოსავალი იყო ხონსა და მის ახლო-მახლო სოფლებში.

— მთელს ზუგდიდის მაზრაში უმაგალითო სიძვირეა წიგნებისა და სხვა სასწავლო ნივთებისა. გოგებაშვილის „დედა-ენა" და „რუსკოე სლოვო" 90 კაპ. იყიდება.

— ზუგდიდის მაზრის 20 საკრედიტო და შემნახველ ამხანაგობას კიდევ ორი საკრედიტო ამხანაგობა მოემატა.

გომის მთა.

23 ოქტომბერს გომის მთაზე დიდი ცეცხლი გაჩნდა. ჰფიქრობენ, სხვა სახლებთან ერთად ცეცხლი აგარაკებსაც მოედებოდაო.

სოფ. ბოსლევი (ზემო იმერეთი).

წრევანდელ მოუსავლობით შეწუხებულმა სოფელმა განიზრახა, ეხლავ შეუდგეს საკვებ სიმინდის ძებნას, მაგრამ ამ საქმის მოგვარება კერძოდ თავის ძალ-ღონით მას არ შეუძლიან, ამიტომ ბოსლევის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ბათომის სახელმწიფო ბანკის წინაშე, რათა მიეცეს ბოსლევის საკრედიტო ამხანაგობას ერთი წლის ვადით საჭირო სესხი დაშეულ ხალხისთვის სანოვაგის შესაძენად.

სოფ. ნაზარალო.

ამ სოფლის მცხოვრებმა ისმაილ-სულეიმან-ოღლიმ თავის ამხანაგთან ერთად გაიტაცეს მინდორში მომუშავე აბდურაჰმან ყაღრამან-ოღლის ქალი.

კავკავი.

4 ოქტომბერს კავკავში საძირკველი ჩაეყარა სახალხო თეატრის შენობას.

სოფ. კაცხი.

ყვირილს მთავრობის დარაჯები მეტად უზრდელად და უდიერად ეპყრობიან სოფ. კაცხის მცხოვრებთ. კაცხის მამასახლისმა ჭიათურის ნაწილის ბოქაულის წინადადებით მოხსენება შეადგინა ხსენებულ დარაჯთა მოქმედების შესახებ.

ნოღა.

ამას წინად ამ სოფელში გლეხ რახვაძის ოჯახში მოკლულნი ყაჩაღნი აღმოჩნდნენ ტ. სიხარულიძე და ნ. ფირცხალაშვილი. ხსენებული პირნი თურმე დიდიდ ავიწროვებდნენ სოფელს.

ყვირილა.

დაადგინეს ამას წინად დამწვარ თეატრის აღდგენა.

სოფ. გოჩა-ჯიხაიში.

აქ არსებობს ორი პატარა დუქანი, რომელიც ყოველთვის სიძვირის ბუდე იყო, მაგრამ დღეს, სიძვირეს რომ თავი დავანებოთ, ბ. მედუქნეებმა სრულიად მოგვისპეს უპირველეს საჭიროების საგნების მოწოდება, ხოლო თუ გვაწვდიან გასაოცარ ფასებში. მათთვის არავითარი ნიხრი არ არსებობს.

გურია.

ოზურგეთის ახლო-მახლო გადამზიდ-გადმომზიდველი მუშა მეურმენი ცხოვრების გაძვირების გამო ფასის მომატებას ითხოვდნენ. ბოლო ხანს მათი მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

იმერეთის ავ-კარგი

საერთოდ მოვლენილმა მრისხანე რღვევამ იმერთა ცხოვრებაც გააცხოველა.

ხალხმა დაინახა თავის საჭიროება და აუცილებელი ნაბიჯის გადადგმა. დღეს ჩვენს სოფელში იშვიათია ისეთი მცხოვრები, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გაურბოდა ექიმს, უარჰყოფდა სკოლას, ფეხს ვერ შეადგმევინებდით სამკითხველოში, საშინელ სენით შეპყრობილს პარასკევ დღეს სახსნილოს ვერ აჭმევდით და სხვა.

ამ ჟამად ჩვენ ჭაპან გაწყვეტილ სოფლელისაგან ბევრს საყურადღებოს გაიგონებთ.

— ამ ეზოში რომ მოვიმწყვდეთ, გადაღმა არ გადავიდეთ, ხალხს არ გავეცნოთ, არაფერი გავიგოთ რა ნაირად გამოვალთ გაჭირვებიდან. ამბობს ერთი.

ალბად ბევრი უშრომია, უმაცადნია იმ გერმანეთის გლეხს, თუ არა რაფერ გახდებოდა ისე შეძლებული გაზეთებში რომ სწერია. ამბობს მეორე.

სოფელში ვისაც გაზეთი მოსდის იქ სალამ საღამობით მრავალი მცხოვრები იკრიბება და ეხვეწებიან წაკითხვის მცოდნელთ: „გაგვაგებიეთ ამბებიო".

ხალხს დიდად აინტერესებს ომის მიმდინარეობა და გაგება იმისა, თუ როგორს პირობებში იმყოფება ამა თუ იმ ადგილას მეომარ მხარის გლეხობა და მერე ადარებენ თავიანთ მდგომარეობას. ერთმანეთის განკითხვა-პატივისცემა ხელ-გაწყობასაც იგნებენ-ითვისებენ ჩვენს სოფლებში.

აჭარის მწარე ხვედრმა იმერეთში გულწრფელი ძმური სიბრალული გამოიწვია. ბევრი ცოტაოდენად შეძლებული მცხოვრები ეხმარება ხელს უწვდის ამხანად სამშობლოდან გადმოხვეწილ აჭარელთ. სოფლებში შეიგნეს აგრედვე დღეობებისა და მიცვალებული გასვენების დროს გამოწვეულ განუსაზღვრელ ხარჯიანობის მავნებლობა. ყოველ სოფელში ადგენენ: „წელს უკიდურეს გასაჭირში ვართ და დღეობას ვერ ვიხდით, გთხოვთ ნუ მობრძანდებით. მიცვალებულის გასვენებასაც ეჩვევიან ახალის წესით.

დიახ მსოფლიო ქარცეცხლის გავლენა ჩვენს სოფლებსაც დაეტყო, დღეს მოხდა, რაიც აუცილებელი საჭირო იყო. ქართველმა ინტელიგენციამ და მასთან მოზარდ ახალგაზრდობამ, რომ დღეს თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულოს სოფლის წინაშე და მას მძიმე საქმეებში რჩევა-დახმარება მისცეს გვერწმუნეთ, რომ აწ უკვე გამოფხიზლებული ჩვენი სოფელი ხვალ მეტად სასურველი სანახავი იქმნება.

ი. ჯიხაიშელი.

წერილი სამეგრელოდან

სასწავლო ნივთების სიძვირე.

წელს საზოგადოდ ყველაფრის უმაგალითო სიძვირესთან წიგნების და სხვა სასწავლო ნივთების სიძვირემაც იჩინა თავი, რა გარემოებაც ჩვენს გაზეთებშიაც იყო აღნიშნული. მაგრამ სიძვირეც არის და სიძვირეც. ამ საქმეში, თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, ყოველგვარი რეკორდი გადალახა ჩვენმა ზუგდიდმა. აქ მთელს მაზრაში ერთად-ერთი წიგნის მაღაზიაა (ბ-ნ ადამიასი), სადაც ჩვეულებრივ დროსაც დაუჯერებელი სიძვირე იყო ყოველგვარი სასწავლო ნივთებისა. მაღაზიის პატრონს, ეტყობა, დიდი სურვილი აქვს ერთბაშად გამდიდრებისა, მაგრამ არ ეშველა-რა, არც ის გამდიდრდა და ჩვენი ღარიბ მოწაფეების მშობლებსაც გაძვრა ტყავი.

დიახ, ხალხი გატყავდა, მაღაზიაც ვერ გამდიდრდა, რადგან მეტად მცირე თანხის პატრონია და თან წიგნების და სხვა სასწავლო ნივთების მოთხოვნილებაც ვერ დააკმაყოფილა; ამას მოჰყვა მეორე ნაირი უკუღმართობა: მიჰყო ხელი წიგნებით და რვეულებით ვაჭრობას, როგორც ეს უკვე გაზეთის ფურცლებზე იყო აღნიშნული, ყოველმა მეწვრილმალემ, მეფურნემ და მიკიტანმა, რომლებმაც შორს გადააჭარბეს სიძვირეში თვით სახელოვან ადამიასაც. მაგ. ვილაც მეფურნე კიკნაძე ჰყიდის გოგებაშვილის „დედა-ენას" და „რუსსკოე სლოვო"-ს 90 კაპ. ასე ორ-წილ და კიდევ მეტ ფასებში ჰყიდიან ყველა სხვა წიგნებსაც... თავს „იმართლებენ", ვითომ და იმით, რომ ყველაფერი გაძვირდაო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გოგებაშვილის და ზედგინიძე-ჯაფარიძის წიგნები გერმანეთიდან მაინც არ მოგვქონდა არასოდეს. მასთან ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ქუთაისის წიგნის მაღაზიები აძლევენ ჩვენს ვაჭრებს ყველა წიგნებს ჩვეულებრივ (წიგნებზე აღნიშნულ) ფასებში 10 პრ. შეღავათით. აშკარაა აქ მხოლოდ მძარცველობაა და მეტი არაფერი!

საინტერესოა ვიცოდეთ, არსებობს თუ არა ჩვენს კანონმდებლობაში რაიმე პრივილეგია, პატენტი, ანუ ნებართვის საჭიროება წიგნებით და სხვა სასწავლო ნივთებით ვაჭრობის საქმეში, თუ სრული თავისუფლებაა ვაჭრობის ამ დარგში?

ასეა თუ ისე, ჩვენ გვიხსნის ხარბი და გაუმაძღარი მძარცველების კლანჭებიდან მხოლოდ კოოპერატიული წიგნის მაღაზიის დაარსება დ. ზუგდიდში, რომლის წევრად უნდა გახდეს მაზრის ყოველი სკოლა თავის ეგრედ წოდებულ სპეციალ თანხის საშუალებით.

კაი.

პროვინცია

ქ. ოზურგეთი. აქ შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც შეუდგა წარმოდგენების სისტემატიურ მართვას. პირველად ითამაშეს „და-ძმა"— გუნიასი. მიუხედავად იმისა, რომ ამ პიესას თითქმის ერთი და იგივე პირები აქ წელიწადში სამ-ოთხჯერ თამაშობენ ეს პიესა კარგად ვერ იქმნა შესრულებული. სცენის მოყვარენი მოუმზადებელი იყვნენ. როლები არ იცოდნენ. აქ მივაქცევ ყურადღებას გ—ნე გ—ძეს „ოტიას" როლში, რომელსაც ის ხშირად თამაშობს და ყოველთვის აფუჭებს. მარტო კარგი და ლამაზი ტანისამოსის ჩაცმა და გულ-მკერდის ჩვენება არ შეადგენს თამაშს. უკეთესია უფრო ადვილი და შესაფერი როლები ითამაშოს.

22 ამ თვეს დაიდგა მეორე წარმოდგენა „მეზობლები", დრამა—რამიშვილისა. თუმცა პიესა კარგია, მაგრამ იგი მაინც დაამახინჯეს; როლები არ იცოდნენ; მოთამაშეთ სცენაზე თავი ვეღარ დაეჭირათ. ამ პიესაშიაც ბ-ნ გ—ძეს შეუფერებელი როლი აეღო; არც როლი იცოდა და არც თამაში უვარგოდა. სცენაზე ციბრუტივით ტრიალებდა და გამაყრუებელი ყვირილი გაჰქონდა. კარგები იყვნენ ქ-ნი პელო ქარცივაძე და ბ-ნი გ. მუმლაძე. ესენი საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა. საჭიროა მეტი მუყაითობა და ენერგია.

მაყურებელი.

ღია ბარათი

მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს მოვალეებს.

სათვისტომოს გამგეობას ფრიად სამწუხაროდ მიაჩნია რომ აგეთ ზომებს ხმარობს, მაგრამ იგი იძულებულია სათვისტომოს მოვალეებს პრესის საშუალებით მიმართოს და მოაგონოს შემდეგი.

თქვენ გამოგიცდიათ ალბათ თუ რას ნიშნავს გაჭირვების დროს დახმარება. არ დაგვავიწყდებოდათ არც ის, რომ თქვენს გაჭირვებას ჩვენი სათვისტომო დახმარებით უპასუხებდა. მაგრამ რად გავიწყდებათ, რომ თუ ოდესმე ყოფილა მოსკოვში საჭირო ღარიბ ამხანაგებისადმი ხელის გაწოდება, მით უფრო უსაჭიროესია იგი დღეს, როდესაც მოსკოვის ცხოვრების სინამდვილე ზღაპრულ თქმულებას უახლოვდება? რად გავიწყდებათ რომ ნახევრად მშიერნი და ნახევრად გაყინულნი წევრნი დღეს უფრო მრავალი ჰყავს ჩვენს სათვისტომოს?! არა, თქვენ ვერ იტყვით იმას, რომ მათ დახმარება არ უნდოდესთ!..

თქვენც სასიამოვნოდ დაგრჩებათ, თუ ჩვენი სათვისტომო მათ დროებით მაინც ცრემლს შეუშრობს!.. მაგრამ რით? რა გზით?—სათვისტომოს ქონება თითქმის სრულიად თქვენ გაზიდეთ; თქვენს ხელშია იგი და დაბრუნებისთვის კი არ ზრუნავთ!

ამხანაგებო! შედით თქვენი გაჭირვებული ამხანაგების მდგომარეობაში და დაუბრუნეთ მათ სათვისტომოს ვალი, რომ მას შეძლება მიეცეს წევრების წინაშე პირნათლად შეასრულოს თავის მოვალეობა.

გამგეობა ამით აფრთხილებს მოვალეებს, რომ თუ იგინი ვალს არ დააბრუნებენ ერთი თვის განმავლობაში—დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა—იგი იძულებული იქნება მიმართოს უკიდურეს საშუალებას და გამოაქვეყნოს მოვალეობის ვინაობა გაზეთებში.

ნუ ინებებთ ამას!

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Москва, Зацѣпа, д. 23, кв. 5. Ст. Семену Б. Гошадзе.

გამგეობის თავმჯდომარე **ივ. დეკანოსიძე.**

წევრები: **ს. გოშაძე, მ. ცეკვაშვილი და ი. სალაძე.**

მდივანი **გენ. მიხელიძე.**

ქ. მოსკოვი, 1915 წ. 24 ოქტ.

დეპეშები

პარიზი, 28 ოქტ. გერმანებმა დღისით ორჯელ მოიტანეს იერიში არტუაში ჟივანშის ტყესთან. ჩვენ თამამად შევეგებეთ. არგონებში, ვოკუაში, ბალანკურის ტყეში საარტილერიო სროლის გარდა ხელით სასროლ ყუმბარებითაც სწარმოებდა ბრძოლა.

ცეტინიე, 26 ოქტ. გრახოვადან მოყოლებული ყუშიდომდე მკვირცხლი საარტილერიო ბრძოლა იყო. მტერს სასტიკი იერიშები მოჰქონდა. ჩვენ მოვიგერიეთ.

ბუქარესტი, 27 ოქტ. რუსების გემი „ბელგრადი" ბულგარებმა „ვარნად" მონათლეს. ამ ჟამად ამ გემის საშუალებით ჯარები გადაჰყავთ დუნაიზე.

ლონდონი, 27 ოქტ. თემთა პალატის წინაშე რენსიმენმა განაცხადა, რომ ამიერიდან უცხოელთა ნავთსადგურებიდან ინგლისის გემებს აეკრძალებათ ნაოსნობა, თუ ამისთვის განსაკუთრებულს ნებართვას არ მიიღებენ.

რომი, 28 ოქტ. ტრენტინოს საზღვრებამდე არტილერიის მოქმედება ცხოველდება. ზემო კორდევოლეში ღამით 26 ოქტ. მტერი სცდილობდა მწვერვალის დაჭერას, მაგრამ უკუვაგდეთ. კარნიაში მიუხედავად მტრის ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, კოდევაილში და ლოდინის მთის ფერდობებზე მტერმა საარტილერიო სროლა გააჩაღა. გორიცას დასავლეთით საარტილერიო სროლის შემდეგ მტერი იერიშით წამოვიდა, მაგრამ აქაც უკუგდებულ იქმნა. ერთი ჩვენი დირიჟაბლთაგანი იზონცოსაკენ გაემართა და მტრის ბანაკის ბატარეებთა მახლობლად ჩამოეშვა. ჩვენი ჰაეროპლანი მარჯვედ დაუსხლტა მტრის არტილერიის ცეცხლს და უვნებლად დაბრუნდა.

რომი, 27 ოქტ. ნეაპოლიდან იუწყებიან, რომ იტალიელთა ხომალდი „ანკონა" დაიღუპა. 482 მგზავრიდან გადაურჩენიათ 270 კაცი.

პარიზი, 27 ოქტ. ფართო ბრძოლის პირზე სასტიკი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. შამპანში ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო.

ჰავრი, 27 ოქტ. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დღეს მტერმა ზარბაზანი დაუშინა ფიურნს, რამსკაპელეს, პერვიზს, როსტამს და ვეესკერკეს. ამის გარდა სხვა და სხვა პუნქტებშიაც ესროდნენ.

სტოკჰოლმი, 28 ოქტ. ლეიპციგში ზავის მომხრეთა ყრილობა მოხდა. ცენზურის მიერ აღკრძალულია კრების ანგარიშის გამოქვეყნება.

ლონდონი, 27 ოქტ. ლორდთა პალატაში ლენსდოუნმა განაცხადა, თუ ინგლისს სერბეთში ადრე გაეგზავნა ჯარები, შემოდგომის დასაწყისშივე, როდესაც სერბეთისა და ბულგარეთის შუა მდგომარეობა გამწვავდა, შესაძლებელია ის ამბავი არ მომხდარიყო და ბულგარეთს ქარქაშში ჩაეგო ხმალიო.

სტოკჰოლმი, 27 ოქტ. გერმანელთა ხომალდი „კორდელია" ბალტიის ზღვაში დაიკარგა. ჰფიქრობენ, ნაღმს წააწყდა, ან და ინგლისელთა წყალქვეშამ დაჰღუპაო.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით დაიღუპა ხომალდი „ტრენი". 13 კაცი გადარჩა. 22 აკლია.

პარიზი, 28 ოქტომ. დაღუპულ გემ „ანკონაზე" გადარჩენილი 161 მგზავრი ბიზერტში მოვიდნენ. დაჭრილებს ადგილობრივ საავადმყოფოში დახმარება აღმოუჩინეს. ოთხი მათგანი გარდაიცვალა.

ლონდონი, 28 ოქტომ. საადმირალო იუწყება, რომ კონტრ-ნაღმოსანი „ლუის" ხმელთაშუა ზღვაში დაიღუპა. აფიცრები და კამანდა გადარჩნენ.

თეირანი, 27 ოქტ. რაკილა ხმები დადის, ვითომც გერმანელები და ოსმალები სცდილობენ თეირანში აჯანყება გამოიწვიონ და მოკავშირეთა ელჩებს დაესხნენ თავზე, ამიტომ კაზვინის რაზმს ებრძანა თეირანისკენ გალაშქრება. გუშინწინ რაზმი იანგიმანში შევიდა. ამავე დროს შაჰთან აუდენციაზე რუსეთისა და ინგლისის ელჩებს ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ. ესენი ურჩევდნენ შაჰს კეთილ გონიერებას. სპარსეთის მთავრობა იმედს გამოსთქვამდა, რომ არეულობას ბოლოს მოუღებდა. ელჩები თავის მხრით აღნიშნავდნენ თუ ასეთი აღთქმანი რა უნაყოფოდ თავდებოდა დღემდის, რომ ფაქტიურად გერმან-ოსმალთა აგიტაციის წყალობით მოკლულ იქმნა რუსეთის ელჩი კავერი, ასევე დაეცნენ რუსეთის მეორე ელჩსა და ინგლისისას ისპაჰანში, ორჯელვე დასცემიან შირაზში მყოფს მოკავშირეთა ელჩებს, ბუშირში დაუხოციათ ინგლისელი აფიცრები, გაუქცევიათ ისპაჰანისა და ქერმანშაჰის ელჩები, ნება დაურთვიათ მოკავშირეთათვის, რომ მათ ააჯანყონ სპარსეთისა და ავღანისტანის მაჰმადიანობა, აგრეთვე მიუთითეს იმაზე, თუ როგორ შეუწყვეტლივ შემოაქვთ იარაღი გერმანიიდან. ამასთანავე აღნიშნავს, რომ რუსის ჯართა წამოსვლა თეირანზე განსაკუთრებით ოსმალთა და გერმანელ აგიტატორთა მოსასპობლად ხდებაო.

ბედი თქვენსავე ხელშია, თქვენ შეგიძლიანთ უბედურობა ააცილოთ სპარსეთსაო.

ამბობენ, შაჰი კიდევ ყოყმანობს რუსეთ-ინგლისთან შეთანხმებაზეო.

სტოკჰოლმი, 27 ოქტომბერი. მთავრობამ დაკეტა გაზეთი „ფორვერტსი" წერილის გამო, რომელშიც გაზეთი რეიხსტაგის დაუყოვნებლივ მოწვევას მოითხოვდა ზავის პირობათა შესამუშავებლად.

კოპენჰაგენი, 27 ოქტომბერი. კოპენჰაგენიდან გასული შვეციის გემი „კაპელდე" გერმანელმა ნაღმოსნებმა დატყვევეს და სვინემიუნდეში მიიყვანეს. „პოლიტიკენის" სიტყვით გემი შვეციის ტერიტორიაზე იქმნა დატყვევებული, რის გამოც გერმანელ მთავრობას პროტესტს გამოუცხადებს, როგორც შვეცია, ისე დანია, რადგან გემი დანიისათვის იყო დაბარგული.

პარიზი, 27 ოქტომბერი. ოფიციალურად [illegible], რომ საბერძნეთის [illegible] მიმართა შეთანხმების სახელმწიფოთ 40 მილიონი ფრანკის სესხი მისცენ. მოკავშირეთა მთავრობებს მოლაპარაკება აქვთ ამის თაობაზე და შეიძლები საკითხი სასურველად გადაწყდეს.

ათინა, 26 ოქტომბერი. ახალ კაბინეტის შემადგენლობას პრესა სხვა და სხვანაირად ახასიათებს. საგარეო პოლიტიკა მთავრობისა შეცვლილი არ იქნება.

რომი, 28 ოქტომბერი. ფერვიდიდან მიღებულ ცნობების თანახმად იტალიის გემი „ანკონა" წყალქვეშ მავალმა ნავმა ჩასძირა. ნავზე ავსტრიის ბაირაღი იყო. გემზე 422 მგზავრი იყო და 60 მოსამსახურე. ხმებია რომ აქედან 270 კაცი გადარჩა. ნავმა ჯერ ასი ყუმბარა დაუშინა გემს, მერე ნავი ჩასძირა.

გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3	ბაქოდან.	12 ს. 54 წ.	დღ.
№ 4	ბათომიდან.	5 ს. 55 წ.	სად.
№ 5	ბაქოდან(სწრ.)	7 ს. 41 წ.	სად.
№ 10	ბათომიდან.	9 ს. 51 წ.	დილ.
	ჯულფიდან	6 ს. 53 წ.	დილ.
	ბორჯომიდან	7 ს. 25 წ.	დილ.
	„ საავ.	10 ს. 28 წ.	სად.

თბილისიდან გადის:

№ 3	ბათომისკენ	1 ს. 45 წ.	დღ.
№ 4	ბაქოსკენ	7 ს. 3 წ.	სად.
№ 6	ბაქოს(სწრ.)	12 ს. 8 წ.	დღ.
№ 9	ბათომისკენ.	8 ს. 53 წ.	სად.
	ჯულფისკენ	10 ს. 23 წ.	სად.
	ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ.	დღ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

თელავისა ღ წნორისკენ დილ.	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მიდის ნაშუადღ.	3 ს. 53 წ.
გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს	4 ს. 53 წ.
თელავში მიდის ნაშუადღევ.	5 ს. 35 წ.
გურჯაანიდან წნორზე მიდის	4 ს. 18 წ.
წნორზე მიდის	5 ს. 15 წ.

თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:

დილის	8 ს. 58 წ.
გურჯაანში მოდის. . .	10 ს. 26 წ.
წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის. .	10 ს. 16 წ.
გურჯაანში მიდის . . .	10 ს. 16 წ.
გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის	10 ს. 46 წ.

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

წიგნის მაღაზია
"ახალი სიტყვა" („Новая рѣчь").
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა
"განათლება"
ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო", „თანამედროვე აზრი", „ეშ. მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა" და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია"** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი"** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები"**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები"**—ბეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში"**—ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.
აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.
კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, საამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.